ПРОЛЕТАРЕБО ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

СССР

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

№ 218 (19959) | სამშაბათი, 22 სექტემბერი, 1987 წელი. | ფასი 3 კაპ.

70

რესპუბლიკის მშრომელები თავდადებით ილვწიან, რათა ღირსეული შრომითი ნობათებით შეეგებონ დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 70 წლისთავს. რედაქციაში განუწყვეტლივ მოდის სასიხარულო ცნობები მორიგ წარმატებებზე.

საოქტომბრო შრომითს ვახტზე მეწინავეობს ცეკავშირის „საქკოოპმრეწვის“ სამმართველოს სოხუმის საწარმოო კომბინატი, რომელმაც უკვე შეასრულა სასაქონლო პროდუქციის გამოშვების ორი წლის გეგმა. 17 მილიონ 750 ათასის ნაცვლად წარმოებულია 17 მილიონ 761,5 ათასი მანეთის პროდუქცია.

▼▼

ხაშურელმა მეხილეებმა უკვე შეასრულეს კურკოვანი ხილის დამზადების წლიური გეგმა. მათ 5.720 ტონის ნაცვლად 6.413 ტონა ხილი დაამზადეს.

მეცხოველეებმაც გაანაღდეს 9 თვის დავალებები. 1547 ტონის ნაცვლად დამზადებულია 1960 ტონა რძე.

რაიონის მეცხოველეთა გადაწყვეტილებაა საშვიდნოემბრიდან მთლიანად შეასრულონ ხორცისა და კვერცხის დამზადების გეგმები.

▼▼

ბარდანის რაიონის მეურნეობათა საკვებდამამზადებელმა რაზმებმა შეასრულეს სენაჟის დამზადების სეზონური პროგრამა. ტრანშეებში ჩადეს 28 ათას ტონაზე მეტი მაღალკალორიული საკვები საგეგმო 25 ათასი ტონის ნაცვლად. პირველობს ჯანდარის მეცხოველეობის კომპლექსის უგანწესო ბრიგადა, რომელსაც ზოჭრაბ თოფუსოვი თავკაცობს.

წელს რაიონის თითქმის ყველა მეურნეობაში მოქმედებს საკვების ხარხსხისადმი კონტროლის სამსახური.

ყოველი შესანახი პარტიის ანალიზის შედეგებს ოპერატიულად ატყობინებენ სპეციალიზებულ ლაბორატორიებს. მათი მონაცემებით, რაიონში შემოწმებული 97 პროცენტი თივა, 87 პროცენტი სენაჟი, 91 პროცენტი სილოსი მხოლოდ პირველი და მეორე ხარისხისაა.

▼▼

თბილისის დამიტროვის სახელობის საავიაციო ქარხანაში წარმატებით ასრულებენ დანაპირებს — დიდი ოქტომბრის საიუბილეოდ გაანაღდონ ხუთწლედის ორი წლის გეგმა.

წლის დამდეგიდან გადაჭარბებით შესრულდა მთლიანი პროდუქციის წარმოების მოცულობის, სასაქონლო პროდუქციის რეალიზაციის, შრომის ნაყოფიერების გადიდების გეგმები.

შეჯიბრების შედეგებით ქართველი ავიამშენებლები მეორე ადგილზე არიან დარგის საწარმოთა შორის.

▼▼

ადიგენის რაიონის მეცხოველეებმა ვადამდე ორი კვირით ადრე გადაჭარბებით შეასრულეს სახელმწიფოსათვის რძის მიყიდვის ● თვის გეგმა, მათ 2490 ტონის ნაცვლად მიიღეს 2890 ტონა, ანუ ოთხასი ტონით მეტი რძე.

თავი ისახელეს ზანავის, არალის, ბოლაჯაურის, ფხეროს, სამყურის, სმადის, ენთელის, უდის კოლმეურნეობებმა.

დაწინაურდა მლაშის საბჭოთა მეურნეობის მწველავი, რაიონული საბჭოს I დეპუტატი გმირი დედა ნორა პაქსაძე, რომელმაც გაპირავნებულ 18 ძროხაზე ამდენივე ხბო გამოზარდა. მან წლიური გეგმით გათვალისწინებული 23 ტონის ნაცვლად 24 ტონა რძე მიიღო, რითაც ვადამდე და გადაჭარბებით შეასრულა საიუბილეოდ ნაკისრი ვალდებულება.

▼▼

ტანაქერ „ქუთაისის“ კაპიტანი ქუჩ-ტრიპოლიტოვი საბერძნეთის ნაპირებიდან გვამცნობს, რომ ეკიპაჟმა უკვე 80 ათასი ტონა ტვირთი გადაზიდა, აქედან გეგმის გადამეტებით 63 ტონა, დაიზოგა 70 ტონა საწვავი. ასეთი ჩინებული მაჩვენებლები მეზღვაურების დ. ივანიაძის, ვ. სიხარულიძის, გ. მსხალაძის, ვ. პივკინისა და სხვათა მუყაითი შრომის შედეგია.

გუშინ, დღეს, ხვალ

ფაქტი □ მოვლენა □ კომენტარი

ექო

იმედი და პერსპექტივა

დედამიწაზე ბირთვული კატასტროფის ავბედითი ჩრდილი ჩამოწვა.

„წარმოიშვა საშიშროება, რომელიც საეჭვოს ხდის ადამიანთა მოდგმის თვით უკვდავებას. ამიტომ საჭიროა საერთო ცხოვრების ახალი წესები ჩვენს უნიკალურ პლანეტაზე, რომლებიც შეესაბამება ახალ მოთხოვნილებებსა და შეცვლილ პირობებს“, — წერს ამხანაგი მ. ს. გორბაჩოვი თავის სტატიაში „რეალობა და უსაფრთხო მსოფლიოს გარანტიები“.

ავტორი მისთვის დამახასიათებელი სიღრმით განიხილავს მსოფლიოში შექმნილ მდგომარეობას, ძალთა განაწილებასა და მშვიდობის პერსპექტივებს, აყალიბებს უბრთვო მსოფლიოს საბჭოთა დოქტრინას, საბჭოთა კავშირის სამშვიდობო საგარეო პოლიტიკის არსს.

საბჭოეთის თანამიმდევრულმა და მტკიცე წინადადებებმა თავისი საქმე ქნა — ისახება უსაფრთხო მსოფლიოს გარანტიის, პოლიტიკური კლიმატის გაუმჯობესების პერსპექტივები.

მ. ს. გორბაჩოვის სტატია ახალი პოლიტიკური აზროვნების ნიშნად გვევლინება, რომელსაც უდიდესი ინტერესით კითხულობენ და სწავლობენ მთელ მსოფლიოში. მან ახალი ძალა შთაბერა იმათ, ვისაც შეგნებული აქვს ახლანდელი თაობების პასუხსმგებლობა თვით სიცოცხლის ბედისათვის, კაცობრიობის მერმისისათვის.

ჩვენ, შემოქმედ ადამიანებს, მ. ს. გორბაჩოვის დოკტრინა უბირთვო მსოფლიოს შესახებ ფრთას გვასხამს რწმენით, რომ სიცოცხლე — სამყაროს ეს უმშვენიერესი სასწაული, გადარჩება, ჩვენი ედემიწა მარად აყვავებული იქნება უბირთვო განაიარაღებისათვის მებრძოლი მიღიონობით ადამიანის რუდუნებისა და ძალისხმევის წყაროდ.

გრიგოლ აბაშიძე,
სოციალისტური შრომის გმირი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი.

მგზურლავის პროფესიაზე არასოდეს უოცნებია; მაგრამ ოთხი წელია, რაც ლაურა ჩადუნელი თბილისის 50 წლისთავის სახელობის ქარხანაში ნაბეჭდი პლატების საამქროში ბურღვის უბანზე შრომობს, იგი თავის საქმეს შეეთვისა, შეიყვარა, დროთა განმავლობაში შეტი პასუხისმგებლობაც იგრძნო და ხარისხიც გააუმჯობესა.

ახლა ლაურა ყოველდღიურ ნორმას დიდი გადაჭარბებით ასრულებს და თავისი წვლილი შეაქვს საწარმოს წინსვლის საქმეში.

სურათზე: მბურღავი ლ. ჩადუნელი.

ა. საბაკოვის ფოტო.

„კომუნისტის“ საგუშაგო

სამართლიანი მოთხოვნა უნდა შესრულდეს

ზოგიერთი აგროსამრეწველო გაერთიანება ისევ უკონდიციო, გადაურჩეველ პროდუქციას გზავნის ზამთრის საცავებში შესანახად.

ლილოს ხილბოსტნეულის შესანახი, გადამმუშავებელი და სარეალიზაციო კომბინატის დირექტორი შოთა ლომძიე, მუდამ დინჯი და სიტყვაძვირი, იმ დღეს ალბა თუ უსაფუძვლოდ ცხარობდა.— გულით მინდა ყველაფერი ისე გავაკეთო, რომ კომბინატი მოვალონიერო, — გვითხრა მან, — მილიონობით ზარალი მინიმუმამდე შევამცირო, მაგრამ ასეთი ხასიათ შემყოფრე რას გააწყობ? უკონდიციოა, გადაურჩევი, ზამთრის მარაგში ხანგრძლივი შენახვისათვის უვარგისი. არადა, თბილისელ და რუსთაველ მშრომელებს, რესპუბლიკის კურორტების დამსვენებლებს ექვსი თვის განმავლობაში ხომ უნდა მივაწოდოთ ბოსტნეული? არც თხოვნამ გაჭრა და არც კრიტიკამ. იძულებული გავხდი დეპეშები გამეგზავნა ხელმძღვანელი ამხანაგებისათვის.

აი ერთ-ერთი დეპეშის შინაარსი:

პარტიის მარნეულის რაიკომის პირველ მდივანს ქ. მამედოვს. ასლი საქართველოს სსრ სახაგრომრეწვის თავმჯდომარის მოადგილეს ო. ცომაიას:

მიუხედავად ჩვენი არაერთგზის გაფრთხილებისა, საბჭოთა კონსტიტუციის სახელობისა და „მეგობრობის“ საბჭოთა მეურნეობები დღემდე უხარისხო, გადაურჩეველ ხახვს გვიგზავნიან. ვითხოვთ ჩვენს რეკომენდაციას (დეპეშა დათარიღებულია 18 სექტემბრით).

„კომუნისტის“ საგუშაგომ გაზეთის 2 სექტემბრის კორესპონდენციაში „ბოსტნეული საიმედოდ დავაბინაოთ“ გააკრიტიკა მარნეულის დამზადების გაერთიანება (თავმჯდომარე — ა. იუსუბოვი). მომდევნო 13 სექტემბრის წერილში „აქტებმა საქმეს ვერ უშველა“ კვლავ დამზადებისა და აგროსამრეწველო გაერთიანების მესვეურები გაკრიტიკდნენ. გაზეთი წერდა:

— „პირველ წერილში საგუშაგო აკრიტიკებდა მარნეულის დამზადების გაერთიანებას, რომელსაც 40 ტონამდე ხახვი სათანადო აქტებით უკან დაუბრუნდა, რადგან უხარისხო იყო, რა დასკვნა გამოიტანეს რაიონის პარტიულმა, საბჭოთა და სამეურნეო ხელმძღვანელებმა გაზეთის სამართლიანი კრიტიკიდან?.. საბჭოთა კონსტიტუციის სახელობის და „გამარჯვების“ საბჭოთა მეურნეობების (დირექტორები — მ. მამედოვი და ა. კოჯაევი, მთავარი აგრონომები — გ. გასანოვი და ა. კარაჯაევი) მებოსტნეები დღემდე უპასუხისმგებლობას იჩენენ და სისტემატურად უკონდიციო პროდუქციას უგზავნიან „კომბინატს“.

„კომუნისტის“ ეს მწვავე სიგნალი არც ამჯერად იღეს ყურად რაიონის პარტიული და საბჭოთა ორგანოების ხელმძღვანელებმა; არაფერი იღონა აგროსამრეწველო გაერთიანების თავმჯდომარემ ზ. გოგოლაძემ, რომელიც იმავე წერილში გავაკრიტიკეთ. რა არის ეს, თუ არა მინდობილი საქმისადმი უპასუხისმგებლო დამოკიდებულება?

საქართველოს სსრ სახაგრომრეწვის კომბინატმა 9 სექტემბერს ლილოს კომბინატში ოპერატიული თათბირი გამართა ლილოს ხილბოსტნეულის კომბინატსა და თბილისხილბოსტანავაჭრობის საბითუმო ბაზაში ზამთრის სამარაგო ბოსტნეულის შენახვის შესახებ. ზამთარ-გაზაფხულის პერიოდში ბოსტნეულის შეუფერებელი ვაჭრობის მიზნით ბოლნისის, მარნეულის, თეთრი წყაროს, გორის, ქარელის, კასპის და ხაშურის რაიონებს მიეცათ ხახვის გამოგზავნის დამატებითი დავალება. მათ შორის მარნეულის რაიონს დაევალა კომბინატს დამატებით 1.700 ტონა ხახვი ჩაბაროს.

ოპერატიულმა თათბირმა დაავალა აგროსამრეწველო გაერთიანებების თავმჯდომარეებს პირადი კონტროლი დაუწესონ ზამთრისათვის შესანახი ბოსტნეულის მიწოდებას, არ დაუშვან არასტანდარტული, გადაურჩეველი ხახვის მიტანის შემთხვევები. თუ ასეთი ფაქტები მაინც გამოვლინდება, იგი საგანგებოდ უნდა განიხილონ და მკაცრი პასუხისმგებლობა დაიკისრონ დანაშაულებს.

ოპერატიულ თათბირს ზ. გოგოლაძეც ესწრებოდა. მაგრამ შედეგი?

14-დან 19 სექტემბრამდე მარნეულის მეურნეობების მიერ კომბინატის ზამთრის საცავებში შესანახად შემოზიდულ ხახვზე უკვე 14 აქტი გაფორმდა. ამ აქტებით 57 ტონა და 509 კილოგრამი ხახვი უკონდიციოა და შესანახად არ გამოდგება, 7 აქტი კონსტატუციის სახელობის მეურნეობას ეხება, მათ 5 დღეში დაუბრუნდათ 27 ტონა და 779 კილოგრამი ხახვი.

ახლა მეორე დეპეშასაც გავეცნობით:

გორის რაიონის აგროსამრეწველო გაერთიანების თავმჯდომარეს ვ. ხუციშვილს. ასლი საქსოფლდამზადების გაერთიანების თავმჯდომარეს ო. ჭიღლაძეს:

გორის რაიონის საბჭოთა მეურნეობებიდან ხახვი ძირითადად ნადერევად ამოღებულია, გამშრალი და გადარჩეული არ არის. 12 სექტემბრის შემდეგ დამზადების წარმომადგენელი არ გამოჩენილა. შეაჩერეთ შემოუსვლელი, გაუმშრალი ხახვის შემოზიდვა. სასწრაფოდ გამოგზავნეთ წარმომადგენელი.

18 და 19 სექტემბერს საგუშაგოს წევრებმა ვნახეთ მეჯვრისხევისა და ტყვიავის მეურნეობებიდან მოტანილი ტონობით ხახვი, რომელიც ნაადრევად ამოეღოთ. მეჯვრისხევის მეურნეობას — 10 ტონამდე, ხოლო ტყვიავისას ამდენივე გამოუგზავნია.

სათქვენი ბოლომდე უნდა ითქვას: გამოგზავნილ პროდუქციას დამზადების წარმომადგენელი უნდა მოპყვებოდეს. წუნიანი პროდუქციის დროს სათანადო აქტი რომ ფორმდება, აუცილებლად წარმომადგენელმა უნდა მოაწეროს ხელი. 10 სექტემბრიდან 18 სექტემბრამდე გორის საზოგადოებრივი მეურნეობებიდან შემოზიდულია 242,7 ტონა ხახვი, მათ შორის სტანდარტული — 209,5 ტონა, არასტანდარტული — 3,8 ტონა, მეურნეობებს გადასარჩევად 20 ტონაზე მეტი ხახვი დაუბრუნდათ. ამდენ არასტანდარტულ და გადასარჩევად დაბრუნებულ ხახვზე აქტები არ შეუდგენიათ დამზადების რაიონული გაერთიანების წარმომადგენლის გამოუცხადებლობის გამო.

გორში დეპეშის გაგზავნის შემდეგ 18 სექტემბერს კვლავ უკონდიციო ხახვით დატვირთული მანქანები მოადგა ლილოს საცავებს; როცა კომბინატის ხელმძღვანელობის მოთხოვნით გორიდან აგროსამრეწველო გაერთიანების წარმომადგენელი მოგვიანებით ჩამოვიდა, იგი კომბინატელებს შეპპირდა, ასეთი რამ აღარ განმეორდებაო. ვითომ ასე იქნება?

საყვედურს იმსახურებენ ბოლნისის რაიონის ფახრალოს და იმირასანის საბჭოთა მეურნეობების, გარდაბნის რაიონის ჯანდარის საბჭოთა მეურნეობის ბოსტნეულის დამამზადებლები, რომლებიც უხეირო პროდუქციას გზავნიან საცავებში.

21 სექტემბრის ჩათვლით კომბინატში სულ მიღებულია 7.406,5 ტონა ხახვი. მათ შორის სტანდარტული — 6.000 ტონამდე ზამთრის საცავებში შეინახეს. დანარჩენი სარეალიზაციოდ გადაიდო. ხახვის შემოტანა არ დაუწყიათ ახალციხის, კასპის და ხაშურის რაიონებს. ტემპიანი მუშაობა მართებთ მარნეულის, თეთრი წყაროს, გორის, გარდაბნის, საგარეჯოს, ადიგენის, გურჯაანისა და თელავის რაიონებს.

შემოდგომა გვაჩქარებს, მზიანი ამინდები მაქსიმალურად უნდა გამოიყენონ მებოსტნეებმა.

გ. ნოდია,
„კომუნისტის“ კორ.

ტრანსპორტი—გაზის სათბობზე

თათბირი სკკპ ცენტრალურ კომიტეტში

18 სექტემბერს სკკპ ცენტრალურ კომიტეტში გაიმართა თათბირი, რომელიც მიეძღვნა ტრანსპორტის ბუნებრივ გაზზე გადაყვანის დარგში ტექნიკური პროგრესის შემდგომი განვითარებისა და ამის საფუძველზე ჭალაქებისა და დასახლებული პუნქტების საჰაერო აუზის გაუმჯობესების საკითხებს.

თათბირი შესავალი სიტყვით გახსნა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრმა, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ი. კ. ლიგაჩოვმა. მან აღნიშნა, რომ დიდი ეკონომიკური და სოციალური მნიშვნელობა ენიჭება ღონისძიებებს, რომლებიც პარტიის XXVII ყრილობის გადაწყვეტილებათა შესაბამისად ხორციელდება სათბობ-ენერგეტიკული ბალანსის სტრუქტურის შემდგომი გაუმჯობესებისათვის, მასში ნავთობის წილის შემცირებისათვის, რომელიც სხვადასხვა სახეობის სათბობის წარმოებას ხმარდება. უპირველეს და დიდი მასშტაბის ღონისძიებათა შორის გათვალისწინებულია სახალხო მეურნეობაში უფრო ფართოდ იქნეს გამოყენებული ბუნებრივი და თხევადი ნავთობის გაზი მოტორის სათბობად, რაც ტრანსპორტის განვითარების მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დიდმნიშვნელოვანი მიმართულებაა.

ეკონომიკურ მოსაზრებათა გარდა, გაზის სათბობზე სატრანსპორტო საშუალებათა გადაყვანას ვვიკარნახებს საჰაერო გარემოს, მეტადრე მრავალრიცხოვანი საავტომობილო პარკის მკონე ქალაქების გარემოს, გაჯანსაღების გაზრდილი მოთხოვნილება. გაზი ეკოლოგიურად ყველაზე სუფთა სახეობის სათბობია.

მთავრობამ უკანასკნელ ხანს მიიღო მთელი რიგი დადგენილებანი გაზის სათბობზე ტრანსპორტის გადაყვანის დასაჩქარებლად. მაგრამ დაწესებული დავალებანი არ სრულდება დროულად და სრული მოცულობით. გაზზე ტრანსპორტის გადაყვანის ორგანიზაციაში იგრძნობა კუსტარულობა და დაქაოსურობა. ზოგიერთი სამინისტრო და უწყება, ადგილობრივი პარტიული, საბჭოთა და სამეურნეო ორგანო ჯეროვან მნიშვნელობას არ ანიჭებს ამ დიდმნიშვნელოვანი პრობლემის გადაჭრას.

საკითხის განხილვაში მონაწილეობდნენ მინისტრები ვ. ს. ჩერნომირდინი, ნ. ა. პუგინი, ვ. მ. ლუკიანენკო, უკრაინის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი ბ. ვ. კაჩურა, სკკპ კემერეოვოს სოლქო კომიტეტის მდივანი გ. ი. სავინკოვი, მოსკოვის საქალაქო აღმასკომის თავმჯდომარე ვ. ტ. საიკინი, რუსეთის სფსრ რესპუბლიკის საავტომობილო ტრანსპორტის მინისტრის პირველი მოადგილე ს. კ. ვასილიევი და სხვა ამხანაგები.

თათბირზე გამოვიდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი ვ. ი. დოლგიხი. მან ხაზგასმით აღნიშნა, რომ უაღრესად საჭიროა გააქტიურდეს მუშაობა გაზზე ტრანსპორტის გადასაყვანად. ამასთან დაკავშირებით აღინიშნა, რომ დამაკმაყოფილებლად არ ხორციელდება გაზასავსები საკომპრესორო სადგურების მშენებლობა, განსაკუთრებით ვოლგოგრადში, კიროვში, კალუგაში, სიმფეროპოლში, ნოვოსიბირსკში, ტაგანროგსა და ზოგიერთ სხვა ქალაქში.

ბევრგან ცუდად იყენებენ მოქმედი სადგურების საწარმოო სიმძლავრეებს. მთლიანად ქვეყანაში ისინი მხოლოდ 30 პროცენტით არის დატვირთული. ეს მნიშვნელოვანწილად იმით აიხსნება, რომ მგგგმავ და მომმარაგებელ ორგანოებს, სამინისტროებსა და უწყებებს ნაკლოვანებები აქვთ გაზბალონიანი ავტომობილებისა და შესაბამისი აპარატურის განაწილებაში. ხშირად ეს ტექნიკა იგზავნება რაიონებში, სადაც არ არის გაზასავსების სადგურები და არც ვარაუდობენ მათს მშენებლობას.

მანქანათსამშენებლო სამინისტროები და, უწინარესად, სსრ კავშირის საავტომობილო მრეწველობის სამინისტრო, სსრ კავშირის ქიმიური მანქანათმშენებლობის სამინისტრო, სსრ კავშირის საგზაო მანქანათმშენებლობის სამინისტრო და სსრ კავშირის ხელსაწყოთმშენებლობის სამინისტრო, ვერ უზრუნველყოფენ გაზბალონიანი სატრანსპორტო საშუალებების, ზღვაურ-კონტეინერული შესრულების გასაწყობი სადგურების, საჭირო ხელსაწყოებისა და ავტომატიზებული მოწყობილობის წარმოების დაგეგმილ მოცულობას. იშლება აგრეთვე ასეთი სადგურების მიწოდება თხევადი ნავთობის გაზისა და შეკუმშული გაზის მოძრავი გაზგამწყობებისათვის. ერთ-ერთი სერიოზული საკითხია მოწყობილობისა და ხელსაწყოების მდარე ხარისხი, მოძრავი შემადგენლობისა და გაზის აპარატურის არასაკმარისი საიმედოობა. მნიშვნელოვანი სიძნელენი შეიქმნა გაზის ბალონებით ავტოტრანსპორტის უზრუნველყოფის საქმეში.

თათბირზე აღინიშნა, რომ გაზის სათბობზე ტრანსპორტის გადაყვანასთან დაკავშირებული ამოცანების გადაწყვეტაში სუსტად მონაწილეობს აკადემიის სისტემისა და დარგობრივი მეცნიერება, არ იგრძნობა კომპლექსური სისტემური მიდგომა ამ პრობლემისადმი. სამეცნიერო-კვლევითი და საკონსტრუქტორო ორგანიზაციები ძალზე აყოვნებენ მოდულის ტიპის გაზასაწყობი სადგურების შექმნას, რკინიგზის ლოკომოტივების, სამდინარო გემებისა და, სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის გაზისებრ სათბობზე გადაყვანას. საკმარისი ყურადღება არ ეთმობა შეკუმშული და თხევადი გაზით მანქანების გასაწყობი სადგურების რაციონალური განლაგების მეცნიერულად დასაბუთებული პროგრამის, იმ ქმედითი ეკონომიკური ბერკეტების შემუშავებას, რომლებიც უზრუნველყოფს ტრანსპორტზე გაზის სათბობის ფართო გამოყენებას.

(დასასრული მე-2 გვ.).

სკკპ ცენტრალურ კომიტეტში

სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა მიიღო დადგენილება „ზამთრის პიროგებში სახალხო მეურნეობის მუშაობისათვის მზადების მიმდინარეობის შესახებ“.

დადგენილებაში აღნიშნულია, რომ, ასრულებენ რა სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილებას ამ საკითხზე, სამინისტროები და უწყებები, პარტიული, საბჭოთა და სამეურნეო ორგანოები, შრომითი კოლექტივები ააქტიურებენ მუშაობას საწარმოებისა და ორგანიზაციების, ტრანსპორტის, საბინაო-კომუნალური მეურნეობის ზამთრისწინა მზადებისათვის. გადაჭარბებით შესრულდა ნავთობის, ქვანახშირისა და გაზის მოპოვების, მთლიანად სახალხო მეურნეობაში სათბობის მარაგის დაგროვების დადგენილი დავალებანი.

ამასთან ერთად ზამთრისათვის მზადების ორგანიზაციის დონე, ამ მიზნით შესრულებულ სამუშაოთა მოცულობა და განსაკუთრებით ხარისხი სერიოზულ შეშფოთებას იწვევს. დაშვებულია ზამთრისწინა სამუშაოთა შესრულების ჩამორჩენა საბინაო-კომუნალურ მეურნეობაში, სასოფლო-სამეურნეო კომპლექსში, რკინიგზის ტრანსპორტზე. მთელი რიგი სამინისტროების, საწარმოებისა და ორგანიზაციების ხელმძღვანელები, ზოგიერთი ადგილობრივი პარტიული და საბჭოთა ორგანო არ ითვალისწინებენ თავიანთ პრაქტიკულ საქმიანობაში წინა ზამთრის ხარვეზებს, უდისციპლინობას იჩენენ დადგენილ დავალებათა შესრულებაში, ურიგდებიან სერიოზულ ნაკლოვანებებსა და ხარვეზებს ზამთრისწინა ღონისძიებათა განხორციელებაში, ზამთრისათვის მზადებას აფასებენ ზოგადი, საშუალო მაჩვენებლებით ადგილებზე საქმის ვითარების კონკრეტული ანალიზის გარეშე.

ზამთრისათვის საბინაო-კომუნალური მეურნეობის ობიექტების მომზადებაში ჩამორჩებიან უზბეკეთისა და საქართველოს სსრ რესპუბლიკებში, იაკუტისა და კარელიის ასს რესპუბლიკებში, ზღვისპირეთისა და ხაბაროვსკის მხარეებში, დონეცკის, პერმის, ამურის, ვოლოგდისა და კალინინგრადის ოლქებში. ჯერაც არ დასრულებულა სითბური ქსელების რემონტი ქალაქ გორკში, გასათბობი საქვაბისა და საცხოვრებელი სახლებისა მურმანსკის ოლქის ქალაქ სევერომორსკში და დაბა ვიდიაევოში.

სსრ კავშირის გზათა სამინისტრო ვერ უზრუნველყოფს რკინიგზის ტრანსპორტით ქვანახშირის გადატანის დადგენილ დავალებათა რეალიზაციას. ყურადღებას იპყრობს ამ სამინისტროს ზოზინი ზამთრის პერიოდში მთელი რიგი რკინიგზების მუშაობაში ქრონიკული ნაკლოვანებების აღმოფხვრაში. გზის კაპიტალური რემონტის გრაფიკს ვერ ასრულებენ ვოლგისპირეთის, სამხრეთ-აღმოსავლეთისა და სამხრეთ ურალის გზები. ზოგიერთ მაგისტრალზე აყოვნებენ თოვლსაწმენდი ტექნიკის რემონტს. ბევრ საწარმოში ზამთრისათვის ჯერაც არ არის მზად მისასვლელი გზები, დასატვირთ-განსაცვირთი საშუალებები და ვაგონსაცლელები. სუსტად არის ორგანიზებული ეს სამუშაო სსრ კავშირის ნავთობქიმიური მრეწველობისა და ქვანახშირის მრეწველობის სამინისტროების საწარმოებში.

ბევრი სამინისტრო და უწყება, მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოები სათანადო ყურადღებას არ უთმობენ სათბობ-ენერგეტიკული რესურსების დაზოგვისა და ყაირათიანი გამოყენების ღონისძიებებს. მიმდინარე წლის პირველ ნახევარში სათბობი გადახარჯეს სსრ კავშირის სახაგრომრეწვის, სსრ კავშირის საშენ მასალათა მრეწველობის, ჩარხსაშენებელი მრეწველობის, ძმიმე მანქანათმშენებლობის, სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებლობისა და ქიმიური მანქანათმშენებლობის სამინისტროებმა, ელექტროენერგია — ყაზახეთის სს რესპუბლიკაში.

სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა ხაზი გაუსვა, რომ მომავალ ზამთრის პერიოდში სახალხო მეურნეობის, და, უწინარეს ყოვლისა, სოციალური სფეროს ობიექტების სტაბილური ფუნქციონირების უზრუნველყოფა მშრომელთათვის სათანადო საყოფაცხოვრებო პირობების შესაქმნელად იმ ღონისძიებათა პრაქტიკული განხორციელების უმნიშვნელოვანესი ფაქტორია, რომლებიც დაისახა სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1987 წლის ივნისის პლენუმის გადაწყვეტილებათა შესაბამისად ეკონომიკის ძირეული გარდაქმნის, 1987 წლის საგეგმო დავალებათა, შრომითი კოლექტივების მიერ დიდი ოქტომბრის 70 წლისთავის აღსანიშნავად, სკკპ XIX საკავშირო კონფერენციის ღირსეული შეხვედრისათვის ნაკისრ სოციალისტურ ვალდებულებათა წარმატებით შესრულების მიზნით. სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა, სსრ კავშირის სამინისტროებსა და უწყებებს, მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს, ადგილობრივ საბჭოთა და სამეურნეო ორგანოებს მოსთხოვა, რაც შეიძლება მალე აღმოფხვრან ზამთრის პირობებში სამუშაოდ საწარმოების, მშენებლობების, კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობებისა და სხვა ორგანიზაციების მომზადებაში არსებული ნაკლოვანებანი, განახორციელონ ენერგორესურსების მოპოვებისა და წარმოების, ქვანახშირისა და ნავთობპროდუქტების გადაზიდვის დაგეგმილ მოცულობათა რეალიზაციის, სათბობის, ნედლეულისა და მასალების აუცილებელი მარაგის შექმნის ამომწურავი ღონისძიებები.

მათ წინადადება მიეცათ ყოველმხრივ გააქტიურონ შრომითი კოლექტივების საქმიანობა სათბობისა და ენერგიის ყაირათიანი და რაციონალური გამოყენების უზრუნველყოფისათვის, მათი მომჭირნეობის საგეგმო დავალებებსა და ნაკისრი ვალდებულებების უფუო შესრულებისათვის, საწარმოებისა და ორგანიზაციების მიერ ელექტრომხმარების დადგენილი ლიმიტების უმკაცრესი დაცვისათვის. გააძლიერონ ბრძოლა სათბობ-ენერგეტიკული რესურსების ხარჯვაში უყაირათობისა და მფლანგველობის გამოვლინებათა წინააღმდეგ.

აღნიშნა რა ენერგეტიკის მთელი რიგი ასამოქმედებელი ობიექტების, უწინარეს ყოვლისა, ხმელნიცკის ატომური ელექტროსადგურის, ბერეზოვკისა და გუსინოეზეროს სახელმწიფო რაიონული ელექტროსადგურების, ამურის, ნოვოსიბირსკის, ვოლგისა და ასტრახანის თბოელექტროსადგურების მშენებლობის არადამაკმაყოფილებელი მდგომარეობა, რომლებსაც სსრ კავშირის ენერგეტიკის და ელექტრიფიკაციის, ატომური ენერგეტიკის, სამონტაჟო და სპეციალური სამშენებლო სამუშაოების, სახრეთის მშენებლობის სამინისტროები აშენებენ, ამ სამუშაოს მნიშვნელობის შეუფასებლობა აღნიშნულ სამინისტროთა ხელმძღვანელობის მხრივ, სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა მინისტრებს ამხანაგებს მაიორეცს, ლუკონინს, ბაკინსა და ზჩიპეტილნიკოვს დავალა დაუყოვნებლივ იღონონ ყველაფერი, რათა დააკომპლექტონ ენერგეტიკული მშენებლობები და ასამოქმედებელი ობიექტები კვალიფიციური მუშებით და ინჟინერ-ტექნიკური კადრებით, მოამარაგონ სამშენებლო კონსტრუქციებით და მასალებით, მანქანებით და მექანიზმებით. ისინი გაფრთხილებული არიან, რომ პერსონალურად აგებენ პასუხს 1987 წლისათვის დაგეგმილ ახალ ენერგოსამძლავრეთა ამოქმედების უზრუნველყოფისათვის. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს სათბობ-ენერგეტიკული კომპლექსის ბიუროს და სსრ კავშირის სახმშენს დაევალათ მკაცრი კონტროლი დაუწესონ ამ ღონისძიებათა დროული რეალიზაციას.

სსრ კავშირის ენერგეტიკისა და ელექტრიფიკაციის და ატომური ენერგეტიკის სამინისტროებს დაევალათ შეიმუშაონ და განახორციელონ დამატებით ღონისძიებათა კომპლექსი, რათა ამა წლის 1 ნოემბრამდე დაასრულონ ელექტროსადგურების მოწყობილობის ელექტრო და თბომესელების ხარისხიანი რემონტი და მოამზადონ ისინი ზამთრის პირობებში სამუშაოდ. განსაკუთრებული ყურადღება დაუთმონ სოფლად ელექტროქსელის ობიექტებზე სარემონტო სამუშაოების დაჩქარებას, რათა უზრუნველყონ აგროსამრეწველო კომპლექსის საწარმოებისა და ორგანიზაციების საიმედო ელექტრომომარაგება.

მოკავშირე რესპუბლიკების ცენტრალურ კომიტეტებს, პარტიის იმ სამხარეო და საოლქო კომიტეტებს, რომელთა ტერიტორიაზე შენდება და მოქმედებს ელექტროსადგურები და სხვა ენერგეტიკული ობიექტები, დაევალათ გააძლიერონ ორგანიზატორული და პოლიტიკური მუშაობა ენერგეტიკოსებისა და ენერგომშენებლების შრომითს კოლექტივებში, პრაქტიკულად დაეხმარონ სამშენებლო და სარემონტო სამუშაოთა შესრულებაში საწარმოებისა და ორგანიზაციების მუშებისა და სპეციალისტების მიზიდვის მეშვეობით.

სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა მინისტრებს ამხანაგებს ვლადიჩკოს, ანფიმოვს, ლუკიანენკოსა და შკაბარდინოს მიუთითა ენერგეტიკის ასამოქმედებელი მშენებლობებისათვის მოწყობილობისა და ელექტროსადგურების ენერგოგაგრეგატების რემონტისათვის სათადარიგო ნაწილების მიწოდებაში დაშვებულ ჩავარდნებზე, მიწოდებული ტექნიკის ცუდ ხარისხსა და არაკომპლექტურობაზე, და მოსთხოვა არა უგვიანეს სექტემბრისა დაასრულონ ასამოქმედებელი ენერგეტიკული ობიექტების დაკომპლექტება მოწყობილობით. ცენტრალურმა კომიტეტმა **სსრ კავშირის** შავი მეტალურგიის მინისტრს ამხ. კოლპაკოვს დაავალა შეიმუშაოს და განახორციელოს ამ ობიექტებისათვის, აგრეთვე ენერგომანქანათსაშენებელი საწარმოებისათვის დადებული ხელშეკრულებების მიხედვით ლითონნაგლინისა და მილების მიწოდების გეგმის სისტემატური შეუსრულებლობის აღკვეთის კონკრეტული ღონისძიებები.

სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა დაუშვებლად მიიჩნია, რომ სსრ კავშირის სახელმწიფო

ტრანსპორტი—გაზის სათბობზე

(დასასრული)

სამინისტროებისა და უწყებების ხელმძღვანელებმა, ადგილობრივმა პარტიულმა და საბჭოთა ორგანოებმა ამომწურავი ღონისძიებანი უნდა განახორციელონ, რათა გაფართოვდეს საავტომობილო ტრანსპორტის გადაყვანა გაზის სათბობზე, დაჩქარდეს ამ დიდმნიშვნელოვანი სახალხო-სამეურნეო ამოცანის გადაწყვეტა, რომელიც განუყრელად არის დაკავშირებული სათბობ-ენერგეტიკული ბალანსის სრულყოფასთან, რესურსდაზოგვისა და გარემოს დაცვის გაძლიერებასთან.

უწინარეს ყოვლისა, საჭიროა უზრუნველვყოთ, რომ უთუოდ შესრულდეს გაზსასვლები საკომპრესორო სადგურების მშენებლობისა და ამოქმედების, მაღალხარისხოვანი მოწყობილობითა და ხელსაწყო-საშუალებებით მათი აღჭურვის, თანამედროვე გაზბალონების ავტომობილებისა და სხვა ტექნიკის წარმოების, მსუბუქი და დიდი სამტკაციან გაზის ბალონების შექმნის 1987 წლის

შავი ზღვა სუფთა უნდა იყოს

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა განიხილა „შავი და აზოვის ზღვების აუზების გაჯუჯყიანების თავიდან აცილების ღონისძიებათა შესახებ“ სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1978 წლის 16 იანვრის დადგენილების მოთხოვნათა შესრულებისათვის სამინისტროების, უწყებებისა და სამრეწველო-საწარმოების მუშაობაში არსებული სერიოზული ნაკლოვანებების საკითხი.

აღინიშნა, რომ რესპუბლიკის პარტიულმა და საბჭოთა ორგანოებმა, სამინისტროებმა და უწყებებმა, დიდმა სამრეწველო საწარმოებმა ბოლო წლებში გარკვეული მუშაობა გასწიეს წყალდაცვით ღონისძიებათა განხორციელებისათვის. საქართველოს სს რესპუბლიკის ფარგლებში შავი ზღვის აუზის გაჯუჯყიანების თავიდან აცილებისათვის გათვალსწინებული საკანალიზაციო სისტემებისა და ჩამდინარე წყლების გასაწმენდი ნაგებობების მშენებლობის ტემპის დაჩქარების მნიშვნელოვანი იმპულსი გახდა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს შესაბამისი დადგენილებები.

მაგრამ მთლიანად მუშაობა დადგენილებით გათვალისწინებულ დავალებათა რეალიზაციისათვის მნიშვნელოვანი ჩამორჩენით წარმოებს. საწმენდი ნაგებობებისა და საკანალიზაციო სისტემების დაგეგმვას, დაპროექტებას, მშენებლობასა და ექსპლოატაციას სერიოზული ნაკლოვანებანი ახლავს, ხშირად უხეშად ირღვევა ნორმები და წესები. ვერ მოხერხდა შავი ზღვის აუზის წყალსატევებში გაფუჭშენდავი წყლის ჩადინების შეწყვეტა, რის გამოც ზღვის სანაპირო ზოლის სანიტარიული მდგომარეობა საქართველოს ფარგლებში კვლავ არადამაკმაყოფილებელია.

სათანადო ყურადღება არ ეთმობა წყალდაცვით ობიექტების მშენებლობის კომპლექსური დაგეგმვის საკითხებს. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული კაპიტალური მშენებლობის მთავარი სამმართველო ჯეროვან პრინციპულობასა და თანამიმდევრობას ვერ იჩენდა შემკვეთის ფუნქციების შესრულებისას, ხოლო საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს ხელმძღვანელობა სათანადო კონტროლს არ უწევდა ამ საქმეს, რის გამოც კაპიტალურ დაბანდებათა ათვისების გეგმები - წლითიწლობით ვერ სრულდებოდა. კვლავ ძალზე მდარეა საკანალიზაციო სისტემებისა და საწმენდი ნაგებობების მშენებლობის ხარისხი. საექსპლოატაციოდ ჩაბარებული რამდენიმე ათეული მილიონი მანეთის ძირითადი ფონდები მხოლოდ ნაწილობრივ ამოქმედდა.

რესპუბლიკის მშენებლობის სამინისტრო პრინციპულად ვერ აფასებს სერიოზულ ნაკლოვანებებს „საქსპეცმშენის“ ტრესტის მუშაობაში, რომელიც შეურიგდა ჩამოყალიბებულ მანკიერ პრაქტიკას, როცა საექსპლოატაციოდ ბარდება ხოლმე პროექტის დარღვევით აშენებული ან სამუშაოდ გაუმზადებელი ობიექტები. ქალაქებისა და რაიონების სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომებმი, რესპუბლიკის სამინაო-კომუნალური მეურნეობის სამინისტრო, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული კაპიტალური მშენებლობის მთავარი სამმართველო, შემკვეთი ორგანიზაციები ობიექტების ჩაბარების დროს ხშირად ვიწროფუყებრივი, კუთხური ინტერესებით ხელმძღვანელობენ, როგორც ეს მოხდა ქალაქების ბათუმის, ლანჩხუთისა და მახარაძის ობიექტებზე, სადაც უხეშად დაირღვა სახელმწიფო დისციპლინა, არსებული ნორმები და წესები.

ნელა უმჯობესდება საკანალიზაციო სისტემებისა და საწმენდი ნაგებობების ექსპლოატაცია. შეუწყნარებლად მცირეა წყალსაწმენდი ობიექტების უმრავლესობის მუშაობის ეფექტიანობა, რაც მნიშვნელოვანწილად განპირობებულია კაპიტალური რემონტის დაგვიანებით. რესპუბლიკის სამინაო-კომუნალური მეურნეობის სამინისტროს სისტემაში არ არის ამ სამუშაოთა შესრულების სპეციალიზებული ქვეგანაყოფი. ნელი ტემპით ინერგება მეცნიერებისა და ტექნიკის თანამედროვე მიღწევები, დაბალია იმ სპეციალისტების კვალიფიკაცია, რომლებიც საწმენდ ნაგებობებს ემსახურებიან. ბოლო წლებში გარკვეული გაჯანსაღების მიუხედავად, საქართველოს სსრ ბუნების დაცვის სახელმწიფო კომიტეტის ორგანოები ჯერ კიდევ არ განთავისუფლებულან ფორმალიზმისაგან, ვერ მიაღწიეს მკაცრი სახელმწიფო დისციპლინის დამყარებას საკანალიზაციო და საწმენდ ნაგებობათა მშენებლობისა და ექსპლოატაციის, წყლის ობიექტების გაჯუჯყიანების თავიდან აცილების დარგში.

რესპუბლიკის სამინისტროები და უწყებები, საკავშირო დაქვემდებარების სარეწველო საწარმოები საკმარის ყურადღებას არ უთმობენ საქვეუწყებო ობიექტებზე წყალდაცვით ღონისძიებათა უპირველეს განხორციელებას. ამ მხრივ მუშაობა მოკლებულია თანამიმდევრობას და ხშირად არაორგანიზებულად მიმდინარეობს.

მიღებულ დადგენილებაში საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა არასაკმარისად ცნო რესპუბლიკის საოლქო, საქალაქო და რაიონული პარტიული და საბჭოთა ორგანოების, სამინისტროებისა და უწყებების, დიდი სამრეწველო საწარმოების მუშაობა იმ ღონისძიებათა შესასრულებლად, რომლებსაც სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს ზემოაღნიშნული დადგენილება ითვალისწინებს. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული კაპიტალური მშენებლობის მთავარ სამმართველოს, საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს, „საქგრომშენის“ რესპუბლიკურ გაერთიანებას საქართველოს სსრ საბინაო-კომუნალური მეურნეობის სამინისტროსთან და საქართველოს სსრ ბუნების დაცვის სახელმწიფო კომიტეტთან ერთად დაევალათ შეიმუშაონ საექსპლოატაციოდ ჩაბარებული ყოველი წყალდაცვითი ობიექტის სამშენებლო დეფექტებისა და ხარვეზების აღმოსაფხვრელ ორგანიზაციულ-ტექნიკურ ღონისძიებათა გეგმა, რომლებიც 1987 წლის დამლევამდე უნდა განხორციელდეს.

საქართველოს სსრ საბინაო-კომუნალური მეურნეობის სამინისტრომ და რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომებმა უნდა უზრუნველყონ საკანალიზაციო ქსელების, კოლექტორებისა და საწმენდი ნაგებობების ექსპლოატაციის სათანადო დონე.

საქართველოს სსრ მშენებლობის მინისტრის დ. ვ. მანჯგალაძის, რესპუბლიკური გაერთიანება „საქაგრომშენის“ თავმჯდომარის ი. ა. ხარატიშვილის ყურადღება მიაპყრეს იმას, რომ საჭიროა მკვეთრად გაძლიერონ საქვეუწყებო ორგანიზაციების ხელმძღვანელთა პასუხისმგებლობა წყალდაცვითი ობიექტების მშენებლობის მაღალი ხარისხის უზრუნველყოფისათვის, შრომის და საშემსრულებლო დისციპლინის განმტკიცების, საწმენდ ნაგებობათა მშენებლობის მიმდინარეობისადმი კონტროლის გაკაცრებისათვის. მათ, აგრეთვე საბინაო-კომუნალური მეურნეობის სამინისტროს (ამხ. ნეფედოვი), საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული კაპიტალური მშენებლობის მთავარი სამმართველოს (ამხ. ზატუაშვილი) ხელმძღვანელებმა უნდა განხილონ იმ თანამდებობის პირთა პერსონალური პასუხისმგებლობის საკითხი, რომელთა ბრალია უხეში დარღვევები წყალდაცვითი ობიექტების მშენებლობისა. და ექსპლოატაციის პროცესში.

საქართველოს კომპარტიის აფხაზეთისა და აჭარის საოლქო კომიტეტებს, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებს, პარტიის ქუთაისის, ფოთის, მახარაძის, სამტრედიის, ლანჩხუთის, ცხაკაიას, ჭიათურის, ზესტაფონისა და ზუგდიდის საქალაქო და რაიონულ კომიტეტებს, სახალხო დეპუტატთა საქალაქო და რაიონული საბჭოების შესაბამის აღმასკომებს დაევალათ განახორციელონ წყალდაცვით ნაგებობათა მშენებლობის, ამოქმედებისა და ექსპლოატაციის დროს დარღვევათა აღმოფხვრის დამატებითი ღონისძიებები, ანალოგიური მოთხოვნები აქვთ წაყენებული სამინისტროებისა და უწყებების, სამშენებლო ორგანიზაციებისა და საექსპლოატაციო სამსახურების პირველადს პარტიულ ორგანიზაციებს.

(საქინფორმი).

სსრ კავშირი-აშშ

პირველი დიალოგი კოსმოსის მეშვეობით

28 სექტემბერს მოსკოვის დროით 7 საათსა და 30 წუთზე, ხოლო 22 სექტემბერს ვაშინგტონის დროით 23 საათსა და 30 წუთზე კოსმოსური ტელეხიდი დაკავშირებს ორი ქვეყნის პარლამენტთა წარმომადგენლებს — სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატებსა და ამერიკის შეერთებული შტატების კონგრესის წევრებს.

პირველად ტელემაყურებლები გახდებიან მოწმენი პირდაპირი დიალოგისა, რომელსაც სატელევიზიო ციკლის „ბირთვულ საუკუნეში ახალი აზროვნების“ ფარგლებში აწყობენ სსრ კავშირის სახტელერადიო, სრულიად ამერიკის კომერციული ტელევიზიელი ეი-ბი-სი ტელეკომპანია „ინტერნიუსთან“ თანამშრომლობით. პირველი შეხვედრის თემაა საერთაშორისო უშიშროება და განიარაღება. მომდევნო შეხვედრებშიც, რომლებიც 15 ოქტომბერსა და 19 ნოემბერს უნდა გაიმართოს, საქმე შეეხება რეგიონალურ კონფლიქტებსა და ადამიანის უფლებებს.

საბჭოთა კავშირის მხრივ დიალოგში მონაწილეობას მიიღებენ სსრ კავშირის შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის უფროსი, საბჭოთა კავშირის მარშალი ს. თ. ახრომეევი, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი, აკადემიკოსი ე. პ. ველიხოვი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის საერთაშორისო განყოფილების გამგის პირველი მოადგილე გ. მ. კორნიენკო და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს კავშირის საბჭოს თავმჯდომარე ლ. ნ. ტოლკუნოვი. ამერიკის მხრივ — დემოკრატი სენატორი — ჯორჯი მიტჩელი, რესპუბლიკელი სენატორი — ჯეიკობ ჯავიტი, ორივე, ორივე სახელმწიფოს განზრახვათა გაუგებლობა მეტად საშიშია. არა არის რა იმაზე უფრო სასწრაფო ამოცანა, ვიდრე ის, რომ შევეცადოთ შევიცნოთ ერთმანეთი როგორც ადამიანებმა.

პირველ შეხვედრაში, რომლითაც ახალი ციკლი იწყება, მონაწილეობას მიიღებს დიდი აუდიტორიაც. მის შემადგენლობაში იქნებიან დეპუტატები, საბჭოთა და ამერიკელი ჟურნალისტები. კრემლში სტუმრად არიან მიწვეული ნიუ-იორკის შტატის გუბერნატორი მ. კუომო და ამერიკის შეერთებული შტატების ელჩი სსრ კავშირში ჯეკ ფ. მეტლოკი.

დისკუსიის დაწყებამდე წინ აჩვენებენ კინოქრონიკის კადრებს, რომლებიც ასახავს იმას, რაც, ორივე მხარის აზრით, ხალხთა შეშფოთებას იწვევს პლანეტის მომავლის გამო. სიმბოლურია ამ ციკლის შესავალი: ნორჩი პიანისტი მოსკოვში და ნორჩი მევიოლინე ვაშინგტონში იღებენ პირველ აკორდებს, რომლებიც ერთიან მელოდიად ყოერს. სრულდება სონატა ფორტეპიანოსა და ვიოლინოსათვის .იგი იმედს გვინერგავს. (საკდესი).

ᲞᲐᲠᲢᲘᲣᲚᲘ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲐ: ᲛᲘᲛᲓᲘᲜᲐᲠᲔᲝᲑᲡ ᲐᲜᲒᲐᲠᲘᲨᲒᲔᲑᲐ-ᲐᲠᲩᲔᲕᲜᲔᲑᲘ

ᲨᲐᲠᲜᲐᲝᲖ უნდილაშვილი კეთილსინდისიერი და გამრჯე კაცია. იგი წლების მანძილზე ხელმძღვანელობდა დუშეთის რაიონის არაგვისპირის საბჭოთა მეურნეობის საწარმოო ბრიგადას და კარგადაც ართმევდა თავს დაკისრებულ მოვალეობას, მერე კი მეურნეობაში თითქმის სავსებით უგულებელყოფილი დარგის — მეღორეობის აღორძინება ითავა.

თავდაპირველად იჭარით გაიპიროვნა ხუთი ნეზვი, რომელთა მოვლაში მეუღლე და შვილებიც ეხმარებოდნენ. ოთხთოდე წელიწადში ღორების სულადობა 400-მდე გაიზარდა. აქედან 15 ნეზვია. შარშან ოჯახმა 15 ტონა ღორის ხორცი აწარმოვა, სადაც 12,4 ტონა სახელმწიფოს მიბაყიდა. თითოეული ცენტნერი ხორცის დამზადება მას

ᲜᲣᲠᲐᲕᲘᲜ გაგიკვირდებათ, თუ ჩემს გამოსვლაში მხოლოდ ბრიგადის წევრთა საზრუნავ-საფიქრალით არ შემოვიფარგლები და ყურადღებას ძირითადად მთელი მეურნეობის, მთელი სოფლისათვის მტკივნეულ საკითხებზე გავამახვილებ. ასე იმიტომ გადავწყვიტე, რომ, ჯერ ერთი, ბრიგადის საქმეებზე ვრცლად ილაპარაკეს ჩემამდე გამოსულმა ამხანაგებმა. და, რაც მთავარია, საბოლოო ჯამით ყოველი ჩვენგანის შრომის შედეგი ხომ მეურნეობის საერთო უულაბაში იყრის თავს.

ჩვენი მეურნეობა ხუთწლედის ბოლომდე შეძლებს ერთ-ნახევარჯერ გაზრდოს ძირითადი სასურსათო პროდუქტების წარმოება. მეურნეობის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ეს გეგმა სპეციალისტთა რეალური გაანგარიშების საფუძველზეა შედგენილი. ყველამ კარგად ვიცით, რა სიახლეებიც დაინერგა ბოლო ხანს წარმოებაში მეურნეობის წინსვლისათვის, უმთავრესად ამის შედეგიც არის, რომ ხუთწლედის დამდეგიდან სოფლის მეურნეობის მთლიანი პროდუქციის წარმოება მეურნეობაში მნიშვნელოვნად გაიზარდა. ინტენსიურ საფუძველზე გადადის მევენახეობა, მებოსტნეობა, მეხილეობა, მეცხოველეობა. ამ უკანასკნელის შესახებ ცალკე მინდა ვთქვა: ჩვენი მეცხოველეები რაიონში უკვე გავიდნენ პირველ ადგილზე ყველა მაჩვენებლით. მიხარია, რომ ამ წარმატებაში ჩემი ოჯახის წვლილიც არის.

დიახ, წარმატებები მართლაც გვაქვს, მაგრამ მეურნეობაში მრავალგვარი პროდუქციის წარმოების სტაბილური ზრდის რეზერვებიც საკმაოდ გვაქვს. ეს, უწინარეს ყოვლისა, არის პროგრესული ტექნოლოგიების, სასოფლო-სამეურნეო კულტურების ახალი ჯიშებისა და ჰიბრიდების ფართოდ დანერგვა, მიწების ათვისება, რეკულტივაცია და სხვ.

ახლა ყველამ თვალი გავუსწოროთ სიმართლეს და გულახდილად ვთქვათ: ვაკეთებთ კი ყველაფერს ამ რეზერვების ამოქმედებისათვის? მართო ის, რომ ჩვენ-ჩვენს სამუშაო ადგილას კარგად ვიშრომოთ, საკმარისი არ არის. ყველა დარგისათვის, საერთო საქმის წინსვლისათვის უნდა შეგვტკიოდეს გული. ავიღოთ, თუნდაც, მეხილეობა. ჩვენს პირობებში ეს დიდი შესაძლებლობის დარგია. თუ ხეხილის ბაღებში მოვსპობთ სიმეჩხერეს, მოწინავე აგროტექნიკის მიხედვით განვახორციელებთ სხვა საჭირო ღონისძიებებს, ორჯერ გავზრდით ხილის წარმოებას. იგივე ითქმის მარცვლეულისა და ბოსტნეულის წარმოებაზეც. მოწინავე ბრიგადები ამ კულტურების უხვ მოსავალს იღებენ. მაგალითად, არანისის ბრიგადამ ერთ ჰექტარზე 95,4 ცენტნერი ნიორი მოიწია, სხვებმა კი გაცილებით ნაკლები. ყველა ბრიგადა ერთნაირად ვერ იყენებს ყურძნის წარმოების მატების შესაძლებლობასაც. რატომ ხდება ასე? განა ეს ჩვენი, ამ მსხლომი კომუნისტების ბრალი არ არის? რატომ არ ვცდილობთ, რომ ერთის დადებითი გამოცდილება საყოველთაო კუთვნილება გახდეს? ვთქვი და ავლაკავ ვიმეორებ: თითოეული ჩვენგანი მხოლოდ თავისი სამუშაო უბნისათვის კი არ უნდა აგებდეს პასუხს, არამედ საერთო საქმის წინსვლისთვისაც. ამდენად ამ კრებაზე მეურნეობის საერთო სატკივარზეც უნდა იყოს ლაპარაკი.

სათქმელი და საფიქრალი კი ბევრი გვაქვს! დამფიქრებელია, კერძოდ, რომ მუშაობის პროგრესული ფორმა — კოლექტიური ოჯარა ნელა იკიდებს ფეხს ზოგიერთ დარგში, მაგალითად, მეცხოველეობაში. ამიტომ დარგის პოტენციური შესაძლებლობა მთლიანად არ არის გამოყენებული.

გულახდილად უნდა ვთქვა, ჩვენთან გარდაქმნა ჯერჯერობით ნელა მიდის, ხშირად უფრო ლაპარაკს ვუნდებით, ვიდრე საქმის კეთებას. თუმცა ყველაფერი მხოლოდ ჩვენი ბრალიც არ არის. აი, ავიღოთ, თუნდაც, მტკიცე საკვები ბაზის შექმნის საკითხი. ამ მხრივ საკმაოდ გვიჭირს, მაგრამ, აბა, რა ვქნათ, თუ მეურნეობამ ბოლო წლებში ასობით ჰექტარი სავარგული დაკარგა იმის გამო, რომ მის ტერიტორიაზე ერთბაშად შეიქმნა 11 მებაღეობის ამხანაგობა, რომლებსაც სავარგულების დიდი ნაწილი გადაეცათ. ჩვენ აღნიშნული ღონისძიების წინააღმდეგი რიდი ვართ, მაგრამ საამისოდ მიწები გეგმაზომიერად უნდა განაწილდეს, რათა ზოგი ჩვენსავით მტისმეტად არ დაიჩაგროს. დიდი ფართობი წაგვართვა ჩვენს ტერიტორიაზე გამავალმა გაზსადენმაც. სათანადო ორგანიზაციები კი სულაც არ იწუხებენ თავს იმისთვის, რომ გამოყენებულ მიწებზე ჩაატარონ რეკულტივაციის სამუშაოები და ისე დაგვიბრუნონ.

ისიც ფაქტია, რომ მხოლოდ ცარიელი ენთუზიაზმით ვერაფერს გახდები, არადა, ხშირად ბევრს გვთხოვენ, დახმარებას კი იმის მინიმუმსაც ვერა ვგრძნობთ, რაც გვჭირდება. აი, თუნდაც ერთი ფაქტი: მეღორეობის ფერმა უნდილაანთ უბანში, მამისეულ მიტოვებულ სახლში მაქვს მოთავსებული, სადაც ზამთარში პირუტყვსაც უჭირს და ადამიანსაც. დანგრევის პირას მისულ ბინაში სიცივე ძალსა და რბილში ატანს. სამი წელია ვითხოვთ ფერმის აშენებას, რაც-კი მრავალი ბიუროკრატიული მიმოწერა დასჭირდა. ერთი ხანობა გვითხრეს, სამეურნეო ანგარიშით თქვენ თვითონ აიშენეთო. თანახმა ვართ, ბატონო, მაგრამ უმასალოდ როგორ ავაშენოთ? ფონდებს მეტად უმნიშვნელოს გამოგვიყოფენ. წელს, მაგალითად, გამოგვიყვეს მხოლოდ 18 კუბური მეტრი ხე-ტყის მასალა, რომელიც ფერმების რემონტისთვისაც არ გვყოფნის. და აქედანაც წლის მანძილზე მხოლოდ 4 კუბური მეტრი მივიღეთ. ვგზავნით ავტომანქანებს ბორჯომისა და ახალციხის ხე-ტყის ბაზებში, საიდანაც გვეკუთვნის მასალა, მაგრამ ცარიელი ბრუნდებიან — ჯერჯერობით არ გვაქვსო. წარმოიდგინეთ, რა გვიჯდება ყოველივე ეს. ცდება მანქანა, იხარჯება ბენზინი, იზრდება საწარმოო ხარჯები. არადა, სადა გვყავს გასაცდენი მანქანები. ისედაც მხოლოდ რამდენიმე მოძველებული მანქანაა გარაჟში. სათადარიგო ნაწილებს ხომ ვერ ვდებულობთ და იძულებული ვართ ზოგჯერ სპეკულანტებისგან მამასისხლად ვიყიდოთ. ერთიც გასაკვირია: თუ ბაზებში არ არის, ამათ საიდანღა აქვთ სათადარიგო ნაწილები?

გვეჭირდება შიფერიც, ფონდით კი ერთი ფილა არ გვეკუთვნის. ცემენტი ვერ შემოგვიზიდია. ბაზები ღია მანქანებით არ გვატარნენ. არადა, ცემენტმზიდები რაიონში არა გვყავს, ცენტრალიზებული წესით შემოზიდვა კი არ ხდება.

ესეც არ იყოს, ხომ შეიძლება ისე გაკეთდეს, რომ სათანადო ფონდები ასე დაკიდებულ ბაზებში არ გამოგვიყოს? მაგალითად, ხე-ტყე წინათ ქსნის ბაზიდან მოგვაქონდა. ახლა, როგორც ზემოთ ვთქვი, ბორჯომსა და ახალციხეში გვგზავნიან. ან ავიღოთ კომბინირებული საკვები. მარნეულისა და კაჭრეთის საწარმოები ყოველგვარ საკვებს უშვებენ, ჩვენ კი ზოგჯერ მახარაძეში გამოგვიყოფენ ფონდს. ესეც ხომ ზედმეტი ხარჯებია?

ამასთან დაკავშირებით ერთი კურიოზული შემთხვევა გამახსენდა:

ერთხელ მახარაძეში კომბინირებული საკვების ქარხანა-დებად მივდიოდით. გზაში ვარონანა წამოგვეწია. [illegible] ყო და თურმე მარნეულიდან მიჰქონდა საკვები?! ჩვენ კი მახარაძიდან უნდა წამოგვეღო. ეს ამბავი გვაოცებს, ნუთუ ამ საკითხის მოგვარებას დიდი რამე უნდა? აქვე დავძენთ, რომ საკვები არ ვარგა. სხვას აღარ დავეძებთ, გოჭებისთვის მაინც გამოუშვან ნორმალური საკვები, რომ არ გაგვიწყდეს.

კიდევ ბევრი რამის თქმა შეიძლება, მაგრამ ვშიშობ, წუწუნი არ გამომივიდეს. თუმცა, ამ ერთხელ მაინც უნდა ვთქვა. ვინძლო, ვინც ჯერ არს, მოგვაქციოს ყურადღება. რა იქნება, ჩვენს მაღაზიებში შეგვეძლოს მოდური ტანსაცმლის, რიგიანი ავეჯის, თუნდაც სურსათ-სანოვაგის შეძენა? თუმცა, ეს რა „მაღალ მატერიებზე“ ავლაპარაკდი, როცა პირველი მოთხოვნილების საგნებითაც კი არ გვამარაგებენ წესიერად. ცეკავშირის ხელმძღვანელი მუშაკები ჩამოვიდნენ ჩვენთან და მაღაზიებში შევიდნენ, თავადვე ნახავენ რა ხარახურაც ყრია იქ. საყოფაცხოვრებო მომსახურებას მოკლებული ვართ, კულტურის მუშაკებმაც დაგვივიწყეს. აღარც კი გვახსოვს, როდის გაიმართა ჩვენთან უკანასკნელი კონცერტი, ან დაიდგა სპექტაკლი. კინოფილმებსაც იშვიათად და უხარისხოდ უჩვენებენ, გაზეთებსაც დავავიწყდით. მათ ფურცლებზე ნაკლებად აისახება ჩვენი ნამუსიანი გარჯა ასეთ ძმიმე პირობებში. მარტო ხომ არ უნდა გვაკრიტიკებდნენ?

ისიც უთუოდ უნდა ითქვას, რომ პარტიული ჯგუფი მეტ პრაქტიკულ დახმარებას ელის ზემოდგომი პარტიული ორგანოებისაგან, კერძოდ, პარტიის რაიკომისა და მეურნეობის პარტიული კომიტეტისაგან, საუბნო პარტიული ორგანიზაციისაგან. უპირველესად მკვეთრად უნდა გაუმჯობესდეს იდეურ-აღმზრდელობითი მუშაობა. ამ მხრივ კი პარტიული ორგანოები თავს ვერ მოიწონებენ: პოლიტიკური განათლების ქსელში მეცადინეობა ფორმალური ხასიათისაა, მოძველდა აგიტატორების სკოლა. ვიღას უნდა შემთხვევიდან შემთხვევამდე გაზეთის ხმამაღალი კითხვა. წერა-კითხვა ახლა ყველამ კარგად იცის. აქ სხვა გზა უნდა გამოინახოს.

მოკლედ, გასაკეთებელი ძალზედ ბევრი რამ არის, ამიტომ ყოველმა ჩვენგანმა, რომ იტყვიან, ხელდაკაპიწებულმა უნდა ვაკეთოთ. ჩვენს პრობლემებს ჩვენვე უნდა მოვუაროთ, ჩვენს ნაცვლად სხვა არავინ იმუშავებს!

ᲩᲕᲔᲜ ᲜᲐᲪᲕᲚᲐᲓ ᲕᲘᲜ ᲘᲛᲣᲨᲐᲕᲔᲑᲡ?

ᲢᲠᲘᲑᲣᲜᲐᲖᲔᲐ ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲘ ᲤᲐᲠᲜᲐᲝᲖ ᲣᲜᲓᲘᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘ

გუშინ, დღეს, ხვალ

ფაქტი ◆ მოვლენა ◆ კომენტარი

ანასეულის ჩაის და სუბტროპიკული კულტურების საკავშირო სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანებაში საინტერესო მუშაობაა გაშლილი. გაერთიანებას მჭიდრო სამეცნიერო-კვლევითი

კონტაქტები

აქვს დემოკრატიულ და სოციალისტურ ქვეყნებთან — კუბასთან, ვიეტნამთან, ბულგარეთთან და ზოგიერთ კაპიტალისტურ სახელმწიფოსთან, განსაკუთრებით კი ქვეყნებთან, სადაც ჩაის, ციტრუსებსა და სხვა სუბტროპიკულ კულტურებს აწარმოებენ.

ამ დღეებში ანასეულს „ინოგროსას“ ფირმის ესპანეთის წარმომადგენელი მანუელო არსე ჰორესი ეწვია.

იგი გაეცნო სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანების ექსპერიმენტულ ბაზებს ანასეულსა და ჩაქვში და ქართველ მეცნიერებს თანამშრომლობა შესთავაზა.

▼▼

მგზავრთა უკეთ მოსახურებისათვის ქალაქ ზესტაფონის ცენტრში აშენდა ახალი ორსართულიანი

ავტოსადგურის შენობა

სადაც არის ნათელი, ფართო მოსაცდელი დარბაზი, დედათა და ბავშვთა დასასვენებელი ოთახი, სამედიცინო, საყოფაცხოვრებო და სავაჭრო ობიექტებით აღჭურვილი ოთხეტაჟიანი შენობა.

ᲐᲜᲐᲡᲔᲣᲚᲘᲡ ᲩᲐᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲣᲑᲢᲠᲝᲞᲘᲙᲣᲚᲘ ᲙᲣᲚᲢᲣᲠᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲙᲐᲕᲨᲘᲠᲝ ᲡᲐᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲝ-ᲡᲐᲬᲐᲠᲛᲝᲗᲐ ᲒᲐᲔᲠᲗᲘᲐᲜᲔᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲐᲐ ᲒᲐᲛᲚᲘᲚᲘ.

ᲒᲐᲠᲓᲐᲑᲜᲘᲡ რაიონის ლილოს საგარეუბნო საბჭოთა მეურნეობის ფერმებში ხუთასი სული საქონელია, მათ შორის შავ-ჭრელი ჯიშის 170 მეწველი ძროხა. წელს მეცხოველეები პირობას იძლევიან, რომ თითოეულ ძროხაზე მიიღებენ 2.500 კილოგრამ რძეს.

წარმატებათა საფუძველია მტკიცე საკვები ბაზა. ზამთრისათვის უკვე მომარაგებული აქვთ 1.200 ტონა სილოსი, ამდენივე თივა, სხვა საკვები. მექანიზატორებმა გეგმა გადაჭარბებით შეასრულეს. ამან, თავის მხრივ, მეცხოველეებს შესაძლებლობა მისცა ეკისრათ გადიდებული სოციალისტური ვალდებულება — დიდი ოქტომბრის იუბილესათვის გაანადღონ წლიური დავალება.

ᲡᲣᲠᲐᲗᲘᲗᲔᲑᲖᲔ: მეცხოველეებს საკვების კარგი მარაგი აქვთ; ლილოს საბჭოთა მეურნეობის საუკეთესო მწველავები ნანა ნავერიანი, ხათუნა ბაღაშვილი და ელისო ფიცხელაური.

Ი. ᲓᲐᲕᲘᲗᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡ ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

ᲡᲘᲢᲧᲕᲐᲡ ᲡᲐᲥᲛᲔ ᲐᲛᲨᲕᲔᲜᲔᲑᲡ

ᲡᲐᲭᲘᲠᲝᲐ ᲖᲣᲡᲢᲘ ᲝᲠᲒᲐᲜᲘᲖᲐᲪᲘᲐ

ᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲑᲠᲘᲝᲑᲘᲡ ახალმა პირობებმა, სრულ სამეურნეო ანგარიშსა და თვითდაფინანსებაზე გადაყვანამ 1988 წლის სამეურნეო ხელშეკრულებათა დადების ვადების გადასინჯვა მოითხოვა. ამ საკითხს მიეძღვნა სამინისტროების, უწყებების, საწარმოებისა და გაერთიანებების სამეურნეო ხელმძღვანელთა, იურიდიული და მომმარაგებელი სამსახურების მუშაკთა რესპუბლიკური თათბირი. იგი საქართველოს სსრ სახარბიტრაჟმა, იუსტიციის სამინისტრომ და სახმომარაგებამ მოაწყვეს.

გარდაქმნის პროცესის დაჩქარების მიზნით სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ მიიღო გადაწყვეტილება, რომ სახელშეკრულებო კამპანია მიმდინარე წლის მესამე კვარტალში დასრულდეს. მაგრამ ეს საკითხი სახალხო მეურნეობის ობიექტების სამართლებრივი სამსახურების მუშაობის ზუსტ ორგანიზაციას საჭიროებს. მათზეა დამოკიდებული უწყებრივი ნორმატიული აქტების შეთანხმება სახელმწიფო საწარმოს (გაერთიანების) შესახებ კანონთან. რესპუბლიკის ბევრ საწარმოსა და ორგანიზაციაში ხომ არ გაუქმებულა ძველი აქტები, რომლებმაც სადღისოდ უკვე დაკარგა მნიშვნელობა, მაგრამ კვლავინდებურად იმოწმებენ. ამით ფერხდება მეურნეობრიობის პროგრესული მეთოდების დანერგვა. ამიტომ საჭიროა, ითქვა თათბირზე, მოვაწესრიგოთ ეს აქტები.

თათბირზე შემუშავებული რეკომენდაციები სახავენ ღონისძიებებს, რომლებიც უზრუნველყოფენ 1988 წლის სამეურნეო ხელშეკრულებათა დადების კამპანიის წარმატებით და დროულად დამთავრებას.

(საქინფორმი).

„ᲘᲡᲔᲕ ᲑᲝᲗᲚᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ“

„ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲘᲡ“ ᲙᲠᲘᲢᲘᲙᲣᲚ ᲒᲐᲛᲝᲡᲕᲚᲐᲡ ᲓᲠᲝᲣᲚᲐᲓ ᲓᲐ ᲡᲐᲥᲛᲘᲐᲜᲐᲓ ᲣᲞᲐᲡᲣᲮᲔᲡ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲕᲐᲭᲠᲝᲑᲘᲡ ᲡᲐᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲝᲛ ᲓᲐ ᲪᲔᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲒᲐᲛᲒᲔᲝᲑᲐᲛ

„ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲘᲡ“ ფურცლებზე დაიბეჭდა კრიტიკული წერილი „ისევ ბოთლების შესახებ“, რომელშიც ლაპარაკი იყო მინის ტარის შეგროვებისა და მრეწველობისათვის მიწოდების ძირეული გაუმჯობესების საჭიროებაზე. კრიტიკა სწორია. რეაგირება დროულად მოვახდინეთ.

საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებამ უდიდესი წვლილი შეიტანა რევოლუციამდელი საქართველოს კულტურულ ცხოვრებაში (იგი რევოლუციის შემდგომაც წარმატებით მოქმედებდა), დაისახა რა მიზნად საქართველოს ისტორიის, მისი ხალხის ყოფა-ცხოვრების, ხელოვნების ძეგლების შესწავლა...

XX საუკუნე საქართველოს ისტორიაში ახალი ძვრებით შემოვიდა და სოციალურ-ეკონომიკურ თუ კულტურულ სფეროში ახალი სირთულეები შემოიტანა. მძიმე ეკონომიკურმა მდგომარეობამ მუშათა კლასს გაზრდა-გაძლიერებისაკენ უბიძგა. სამრეწველო კრიზისის ნიადაგზე მუშათა მოძრაობამ ფართო ხასიათი მიიღო და ეკონომიკურთან ერთად პოლიტიკურ შინაარსსაც ატარებდა. 1905-1907 წლების რევოლუციის მღელვარე დღეებში, როცა რუსეთის პროლეტარიატი და გლეხობა თვითმპყრობელობის წინააღმდეგ აღდგა, როცა პირველი ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის ქარიშხალი მთელ იმპერიას მოედო საქართველოს პროგრესული მოსახლეობა მედგრად ამოუდგა გვერდში თანამომძეებს და მკაცრი ბრძოლა გამოუცხადა ხალხის თავისუფლების დამთრგუნველ წყობილებას. ილია ჭავჭავაძემ, აკაკი წერეთელმა, იაკობ გოგებაშვილმა, ვაჟა-ფშაველამ და მრავალმა სხვა პროგრესულად მოაზროვნე ინტელიგენტმა ხალხთა მასების ფართო მოძრაობაში თავიანთი ეროვნული იდეალებისათვის ბრძოლის გაღვივება შეიგრძნეს...

ერის კულტურულ ცხოვრებაში უდიდესი როლი შეასრულა ქართველთა შორის წერა-კითხვის გავრცელებელმა საზოგადოებამ, რომელიც 1879 წელს შეიქმნა და დიდი სამსახური გაუწია ქართული ენის, ეროვნული კულტურისა და მეცნიერების განვითარებას, ქართველ ხალხში ეროვნული თვითშეგნების გაძლიერებას.

ისეთი ძველი ისტორიისა და კულტურის ქვეყანას, როგორიც საქართველო იყო, სათანადო შესწავლა სჭირდებოდა. მრავალი ხუროთმოძღვრებისა და სხვა სახის კულტურის ძეგლი გადამრჩენელს, ხოლო ხალხური შემოქმედება შემკრებ-შემსწავლელს ელოდა. სიძველეთა უნიკალურ ნიმუშებს გამომზეურება და მსოფლიო სარბიელზე გატანა სჭირდებოდა. **ყველა ამ მიზნის განხორციელებას ისახავდა ამოცანად საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოება, რომელიც 1907 წელს გამოჩენილი ქართველი მეცნიერისა და ღირსეული მამულიშვილის ეკვთიმე თაყაიშვილის თაოსნობით დაარსდა.**

საზოგადოებამ დაარსების უმალ შემოიკრიბა თითქმის მთელი ქართველი ინტელიგენცია და ერის ისტორიის, მისი მატერიალური კულტურის შესწავლისა და დაცვა-შენახვის სამსახურში ჩააყენა. აკაკი წერეთელი, ვაჟა-ფშაველა, ივანე ჯავახიშვილი, ალექსანდრე ცაგარელი, ზაქარია ფალიაშვილი, დიმიტრი არაყიშვილი, იაკობ გოგებაშვილი და კიდევ მრავალი მოღვაწე ამერიდან საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების ფრთებქვეშ იწყებენ მოღვაწეობას.

საზოგადოების დამფუძნებელი კრება 1907 წლის 20 სექტემბერს გაიმართა თბილისის გუბერნიის თავადაზნაურთა სადეპუტატო საკრებულოს დარბაზში. აირჩიეს საბჭო და სარევიზიო კომისია. საბჭოს თავმჯდომარე იყო ეკვთიმე თაყაიშვილი, თავმჯდომარის ამხანაგი — დავით კარიჭაშვილი, ხაზინადარი — ალექსანდრე სარაჯიშვილი, მუზეუმისა და ბიბლიოთეკის მცველი — ილია ფერაძე, მდივანი — სერგი გორგაძე, წევრები — ალექსანდრე ყიფშიძე, პოლიეგზეტოს კარბელაშვილი, მოსე ჯანაშვილი, იუსტინე აბულაძე, წევრობის კანდიდატები — კალისტრატე ცინცაძე, ალექსანდრე მდივანი, კორნელი კეკელიძე, სარეკვიზიო კომისია — ივანე აფხაზი, გრიგოლ ყიფშიძე, კოტე მაყაშვილი.

კრებამ დაამტკიცა საზოგადოების წესდება, რომელშიც ასეთი მიზნები და ამოცანები იყო დასახული. საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოება ისახავდა შეესწავლა, შეეგროვებინა და შეეხახა ისტორიული, არქეოლოგიური, ანთროპოლოგიური, ლიტერატურული და ეთნოგრაფიული ნაშთები, როგორც ძველი საქართველოსი, ასევე მთელი კავკასიისა და მისი მოსაზღვრე ქვეყნებისა. საზოგადოებას უნდა გაეხსნა მუზეუმი, რომელიც თავს მოუყრიდა და დაიცავდა ნივთიერ მასალასა და ხელნაწერებს, კავკასიათმცოდნეობაში დაბეჭდილ წიგნებს. განწრახული იყო ჟურნალების, კრებულების, წიგნების, ატლასების, ლექსიკონების, რუკების, ნახატების, ნოტების გამოცემა ქართულ და რუსულ ენებზე, სამეცნიერო ექსპედიციების მოწყობა და სხვა. საზოგადოებას უნდა ეწარმოებინა არქეოლოგიური გათხრები, დახმარებოდა მეცნიერებსა და სამეცნიერო საზოგადოებებს კავკასიისა და მისი მოსაზღვრე ქვეყნების შესწავლაში, საზოგადოების მიზანი იყო არ გამორჩენოდა თავისი თვალსაწიერიდან წარსულის ნაშთები. თუ საჭირო გახდებოდა, მთელი პრინციპულობით დაესვა არქეოლოგიური საზოგადოებისა და ადგილობრივ ხელისუფალთა წინაშე კავკასიის ძველეთა დაცვის საკითხი: თვითონ კი მოწოდებული იყო ექვთიმე თაყაიშვილი, თავმჯდომარის ამხანაგი — დავით კარიჭაშვილი, ხაზინადარი — ალექსანდრე სარაჯიშვილი, მუზეუმისა და ბიბლიოთეკის მცველი — ილია ფერაძე, მდივანი — სერგი გორგაძე, წევრები — ალექსანდრე ყიფშიძე, პოლიეგზეტოს კარბელაშვილი, მოსე ჯანაშვილი, იუსტინე აბულაძე, წევრობის კანდიდატები — კალისტრატე ცინცაძე, ალექსანდრე მდივანი, კორნელი კეკელიძე, სარეკვიზიო კომისია — ივანე აფხაზი, გრიგოლ ყიფშიძე, კოტე მაყაშვილი.

ეკვთიმე თაყაიშვილმა საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებაში შემოიკრიბა იმდროინდელი ქართული მოწინავე საზოგადოება — ისტორიის მკვლევრები და ენათმეცოდნეები, ლიტერატურული და ეთნოგრაფიული ნაშთების, ძველი საქართველოსა, ასევე მთელი კავკასიისა და მისი მოსაზღვრე ქვეყნებისა. საზოგადოებას უნდა გაეხსნა მუზეუმი, რომელიც თავს მოუყრიდა და დაიცავდა ნივთიერ მასალასა და ხელნაწერებს, კავკასიათმცოდნეობაში დაბეჭდილ წიგნებს. განწრახული იყო ჟურნალების, კრებულების, წიგნების, ატლასების, ლექსიკონების, რუკების, ნახატების, ნოტების გამოცემა ქართულ და რუსულ ენებზე, სამეცნიერო ექსპედიციების მოწყობა და სხვა. საზოგადოებას უნდა ეწარმოებინა არქეოლოგიური გათხრები, დახმარებოდა მეცნიერებსა და სამეცნიერო საზოგადოებებს კავკასიისა და მისი მოსაზღვრე ქვეყნების შესწავლაში, საზოგადოების მიზანი იყო არ გამორჩენოდა თავისი თვალსაწიერიდან წარსულის ნაშთები. თუ საჭირო გახდებოდა, მთელი პრინციპულობით დაესვა არქეოლოგიური საზოგადოებისა და ადგილობრივ ხელისუფალთა წინაშე კავკასიის ძველეთა დაცვის საკითხი: თვითონ კი მოწოდებული იყო ექვთიმე თაყაიშვილი, თავმჯდომარის ამხანაგი — დავით კარიჭაშვილი, ხაზინადარი — ალექსანდრე სარაჯიშვილი, მუზეუმისა და ბიბლიოთეკის მცველი — ილია ფერაძე, მდივანი — სერგი გორგაძე, წევრები — ალექსანდრე ყიფშიძე, პოლიეგზეტოს კარბელაშვილი, მოსე ჯანაშვილი, იუსტინე აბულაძე, წევრობის კანდიდატები — კალისტრატე ცინცაძე, ალექსანდრე მდივანი, კორნელი კეკელიძე, სარეკვიზიო კომისია — ივანე აფხაზი, გრიგოლ ყიფშიძე, კოტე მაყაშვილი.

კვალი ნათელი

საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების დაარსების 80 წლისთავის გამო







ეოდნენ ან სხვა სამსახურს უწევდნენ საზოგადოებას. ისინი ყოველწლიურად იხდიდნენ 3-3 მანეთს (ან ერთდროულად 50 მანეთს). კორესპონდენტები უმთავრესად დედაქალაქის გარეთ ცხოვრობდნენ და აწოდებდნენ სხვადასხვა მასალას. დამხმარე წევრი წელიწადში 1 მანეთს იხდიდა (ან ერთდროულად უნდა შეეწირა არანაკლებ 30 მანეთისა).

საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების საქმიანობას განაგებდნენ საზოგადო კრება და საყაბჭო. საზოგადოების კრება იყო ჩვეულებრივი, არაჩვეულებრივი და წლიური. საზოგადოების საბჭოს სწორედ წლიური კრება ირჩევდა 3 წლის ვადით.

საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებამ ფართო და ნაყოფიერი მუშაობა გაშალა. მის შექმნას დიდი რეზონანსი ჰქონდა საქართველოს ფარგლებს გარეთაც. ყველა განათლებული ქართველი თავის მოვალეობად თვლიდა საზოგადოების წევრი გამხდარიყო და რაიმე ამაგი დაედო მისთვის. 1907 წლის 20 სექტემბერს, ესე იგი დაფუძნების პერიოდში, საზოგადოება 38 წევრს ითვლიდა, სულ რაღაც თვე-ნახევრის შემდეგ, 1907 წლის 8 ნოემბერს მეორე არაჩვეულებრივმა კრებამ ამ რიცხვის მკვეთრად გაზრდა დაადასტურა — საზოგადოებას 207 კაცი შეემატა. ახალ წევრთა შორის იყვნენ მეცნიერები: ნიკო მარი, ვასილ პეტრიაშვილი, ალექსანდრე ხახანაშვილი, ივანე ჯავახიშვილი, ზურაბ ავალიშვილი, პეტრე მელიქიშვილი, ივანე თარხნიშვილი და სხვები; მწერლები: აკაკი წერეთელი, ვაჟა-ფშაველა, ეკატერინე გაბაშვილი, ვასილ ბარნოვი, დავით კლდიაშვილი, ნინო ნაკაშიძე, ანასტასია ერისთავ-ხოშტარია; ხელოვნების მუშაკები: დიმიტრი არაყიშვილი, ზაქარია ფალიაშვილი; სასულიერო პირები: ეპისკოპოსები ალექსანდრე, ლეონიდი, კირიონი, გიორგი, პეტრე და ვვითი; არქიმანდრიტები: პიროს ოქროპირიძე და დოსითეოზ ბერძენიშვილი.

საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოება ორგანიზებულად გამოჩეკიდა. აქ თავი მოიყარა თითქმის მთელმა ქართულმა მოწინავე ინტელიგენციამ. **ფართო ხასიათის მრავალმხრივმა სამეცნიერო საქმიანობამ დიდი ავტორიტეტი შეუქმნა საზოგადოებას.** შემთხვევითი არ არის, რომ იგი ოფიციალურ დოკუმენტებში მოიხსენიება როგორც „ერთადერთი დაწესებულება, რომელიც სამეცნიერო აკადემიის მიზნებს ახორციელებს“.

სხვა საქმიანობასთან ერთად, განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა საზოგადო კრებებს, სადაც იმ დროს გამოჩენილი ქართველი მეცნიერები დამსწრე საზოგადოებრიობას აცნობდნენ თავიანთი გამოკვლევების შედეგებს. იმართებოდა ცალკეული პრობლემების შესახებ მოხსენებების განხილვა. ამგვარი განხილვები პრინციპული ხასიათის იყო, ზზას უკაფავდა სწორ მეცნიერულ აზრს.

საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოება დიდ ყურადღებას აქცევდა სხვადასხვაგვარი ექსპედიციების (როგორც თვითონ უწოდებდნენ, ექსკურსიების), მოწყობას. მიიჩნევდნენ, რომ **საქართველოს მდიდარი წარსულის და მეტად საინტერესო აწმყოს შესწავლა კარგად ორგანიზებული ექსპედიციებით შეიძლებოდა.** საზოგადოება თავისი დაარსების უმალ შეუდგა ამ საქმიანობას და მის წევრებს საშუალება მისცა მრავალად მოეწყოთ ექსპედიცია-ექსკურსიები, რომელთა მიზანი იყო არქეოლოგიური და ეთნოგრაფიული ნივთების შეგროვება, ისტორიული ძეგლების შესწავლა (ეკლესიები, სურათების გამოცემა), ხალხური სიტყვიერების მასალის შეკრება. ყველა ამ საქმის თაოსანი და სულისჩამდგმელი ექვთიმე თაყაიშვილი გახლდათ.

საზოგადოებამ იმთავითვე დაიხახა მიზნად **ქართული მუზეუმისა და ბიბლიოთეკის** შექმნა, საიდაც თავი მოიყრიდნა „ნივთიერს და ნაწერს ნაშთებს, რომელნიც ეხებიან როგორც უმთავრესად უწონდელს საქართველოს და ახლანდელი ქართველი ტომების, ისე მთელი კავკასიისა და მისი მოსაზღვრე ქვეყნების ისტორიას, არქეოლოგიას, ლიტერატურას, ანთროპოლოგიას, ეთნოგრაფიას და კაკულტურას, და აგრეთვე დაბეჭდილს წიგნებს უმთავრესად კავკასიის ცოდნის შესახებ“.

ეროვნული მუზეუმის დაარსება საშური საქმე იყო. ნიშანდობლივია, რომ წესდებით განსაზღვრული საზოგადოების სახელმძღვანელო იერარქიაში იმთავითვე იყო ადგილი მუზეუმ-ბიბლიოთეკის მცველისა. საბუზეუმოდ ჯერ ერთი ოთახი მიიღეს სათავადაზნაურო გიმნაზიის მეორე სართულზე, უფრო გვიან ამ შენობის მესამე სართულის მთელი მარჯვენა მხარე დაიკავეს. საზოგადოებამ დიდი მუშაობა გაშალა საბუზეუმო ექსპონატებისა და სხვადასხვა (ხელნაწერი, ნაბეჭდი) წიგნების მოსაპოვებლად. 1909 წლის 1 იანვრისათვის წიგნთსაცავში 44 ხელნაწერი და 95 ნაბეჭდი წიგნი იყო.

ქართველი ინტელიგენციის მოწინავე წარმომადგენლები კარგად გრძნობდნენ მუზეუმ-წიგნთსაცავის პერსპექტივას ჩვენში და იმ დასაკვნამდე მიდიოდნენ, რომ საჭირო იყო საგანგებო შენობის აგება. ამ საქმეს, რასაკვირველია, დიდი ფულადი სახსრები სჭირდებოდა.

ილია ჭავჭავაძის გარდაცვალების შემდეგ, დიდი მწერლის სახელის უკვდავსაყოფად დასახულ ღონისძიებათა შორის **მნიშვნელოვანი იყო ილიას ფონდის დაარსება.** რისთვის უნდა გამოყენებულიყო ეს ფონდი? ექვთიმე თაყაიშვილის მოსაზრებით, „...ახლავე უნდა გვქონდეს გარკვეული — რა უფრო გვჭირდება ამ ეამად, რას უნდა მოხმარდეს ყველაზე ადრე, ყველაზე უპირატესად ეს ფონდი, რის დაარსება უფრო მესაფერი ილია ჭავჭავაძის სახსოვრად? **ჩვენის აზრით, ამჟამად ჩვენთვის აუცილებელს საჭიროებას შეადგენს ქართული მუზეუმის აშენება“.**

ექვთიმე თაყაიშვილს მიაჩნდა, რომ აქ უნდა შეკრებილიყო მთელი ის არქეოლოგიური, ეთნოგრაფიული და სხვა მასალები, რომლებიც მანამდე ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებაში ინახებოდა. მუზეუმში უნდა შექმნილიყო ილიას დარბაზი, სადაც მფარფინელი იქნებოდა მისი ბიუსტი, სურათები, ხელნაწერი და ნაბეჭდი მასალა. მეცნიერს მიაჩნდა, რომ თვითვე უნდა შესდგომოდნენ მუზეუმის აშენებას, რასაც უნდა მოხმარებოდა დიმიტრი ბაქრაძისა და რაფიელ ერისთავის ფონდებში არსებული თანხები (ილია ჭავჭავაძის ფონდთან ერთად.)

საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოება მთლიანად უჭერდა მხარს თავისი თავმჯდომარის ეკვთიმეს ამ ინიციატივას. ეს საერთო საქმე იყო, ყველა ქართველის, ყველა ეროვნული და კულტურული საზოგადოების დიდი საქმე, და 1909 წლის მიწურულს შეიქმნა სამუზეუმო კომისია, რომლის თავმჯდომარედ ექვთიმე თაყაიშვილი აირჩიეს.

მუზეუმისა და ბიბლიოთეკის დაარსებას, გარდა მატერიალური სახსრებისა, მთავრობის ნებართვაც სჭირდებოდა, რაც არც ისე ადვილი მოსაპოვებელი იყო. საზოგადოებამ ბიბლიოთეკის დაარსების ოფიციალური ნებართვა 1911 წლის 5 დეკემბერს მიიღო, მუზეუმისა კი 1912 წლის 24 იანვარს.

ვიდრე მუზეუმისა და წიგნთსაცავის დაარსების საკითხი სადებოდა, სამუზეუმო ექსპონატები თანდათან მატულობდა. ამის მნიშვნელოვანი წყარო შემოწირულებანი იყო. 1917 წლისათვის საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებას ჰქონდა 9875 წიგნი, 160 ალბომი, 1427 ხელნაწერი და 8000-ზე მეტი სიგელ-გუჯარი. ბევრი ხელნაწერი ეტრატზე იყო შესრულებული და სურათებით შემკული. უძველესი ხელნაწერები X საუკუნეს განეკუთვნებოდა. სიგელ-გუჯართა შორის უძველესი XII საუკუნისა იყო, უახლესი — XIX საუკუნის დასაწყისისა. საგრძნობლად გაიზარდა სამუზეუმო ნივთების რაოდენობაც. 1917 წლისათვის საზოგადოებას ჰქონდა 2432 სხვადასხვა საარქეოლოგიო და საეთნოგრაფიო ნივთი, 550 ნაქსოვ-ნაკერი ექსპონატი, 62 ქანდაკება, 585 მხატვრული ნაწარმოები (ისტორიულ პირთა პორტრეტები და სხვა).

1912 წლიდან საზოგადოება შეუდგა ეკლესია-მონასტრების კედლებიდან ფრესკების გადმოღების ორგანიზებას. 1917 წლისათვის 73 ძველი ფრესკის პირი (ფაქსიმილე) მოეპოვებოდა საზოგადოებას და მუზეუმის ცალკე განყოფილებას შეადგენდა. აქ იყო ბეთანიის, საფარის, მცხეთის, ყინწვისის, ტიმოთესუბნის, ნაბახტევის, ჯელეთის, ნაყუარალეშის, ვანის, გარეჯის, ბერთუბნის, ხახულის, ოშკის, იშხანის, ტბაკაღნის, ნეკრესისა და საბუის ტაძართა ფრესკები.

მეტად საინტერესო ნუმიზმატიკური კოლექცია შეგროვდა. „ქართული მონეტების კოლექცია შედგა იაკობ სერგის ძე მედვედევისაგან ნაყიდი მონეტების, ექვთიმე თაყაიშვილის კოლექციისა და კირიონ II-ის კოლექციისაგან და ამგვარად შეიქმნა მეტად მნიშვნელოვანი კოლექცია, რომელიც სათანადოდ დამუშავდა და განლაგდა. კოლექციის მოწესრიგებას დიდი ამაგი დასდო ცნობილმა ნუმიზმატმა ევგენი ალექსანდრეს ძე პახომოვმა.

საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების შემადგენლობაში შევიდნენ სხვადასხვა ქალაქის წარმომადგენლები. ქართველმა მოწინავე ინტელიგენციამ ქუთაისში, გურჯაანში, ბათუმსა და ახალციხეში თავისი ჯგუფები შექმნეს. თავის მხრივ საზოგადოებამ გამოყო აგენტები, რომლებიც დიდ მუშაობას ეწეოდნენ მოსახლეობაში, იზიდავდნენ, კრებდნენ საწერო გადასახადს, აგროვებდნენ არქეოლოგიურ და ეთნოგრაფიულ მასალებს. ასეთი აგენტები საზოგადოებას უკვე 1908 წლიდან ჰყავდა. ქუთაისში — იოსებ ოცხელი, ბათუმში — ილია ფერაძე, ართვინში — ნიკოლოზ ერისთავ-შარვაშიძე (ექიმი), კავკავში — იოსებ ლორთქიფანიძე; 1909 წლიდან მოსკოვში — ალექსანდრე ჯავახიშვილი, ბაქოში — ივანე ელიავიანელი; უფრო გვიან სიღნაღში — ალექსანდრე ჯორჯაძე, ჭიათურაში — გრიგორ რუხაძე (ექიმი), მცხეთაში — სამსონ ლეკაკა (მდივანი და ექიმი), წალენჯიხაში — სამსონ თვალთვაძე, საგარეჯოში — ნიკოლოზ ბაზარაშვილი, ბორჯომში — პავლე ნიკიტინ-ვინოგრადოვი და მხატვარი გიორგი ხმალაძე, ერევანში — იაკობ ფხაკაძე და სხვანი.

ერთი წელიც არ გასულიყო საზოგადოების შექმნიდან, რომ **დავით კარიჭაშვილის წინადადებით დაარსდა ლინგვისტური განყოფილება. დაიწყო ენათმეცნიერების საკითხების ინტენსიური კვლევა.** მართალია, ლინგვისტური განყოფილება შემდეგ გაუქმდა, მაგრამ ამ მიმართულებით კვლევა და სამეცნიერო საქმიანობა შემდგომშიც წარმატებით გაგრძელდა. საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოება დიდ ყურადღებას უთმობდა ლექსიკოლოგიის საკითხებსაც.

1917 წლიდან 1921 წლამდე, მიუხედავად მძიმე პირობებისა, საზოგადოების მესვეურები, პირადად ექვთიმე თაყაიშვილი და მისი თანამოაზრეები გულგატეხილად აგრძელებდნენ მუშაობას, იკითხებოდა სამეცნიერო მოხსენებები, იმართებოდა ექსკურსიები...

არ შეიძლება საგანგებოდ არ აღინიშნოს ის ფაქტი, რომ საზოგადოების რეალური მატერიალური დახმარება გაუწიეს დავით სარაჯიშვილმა, ნიკოლოზ ღოღობერიძემ, პავლე თუმანიშვილმა, აკაკი ხოშტარიამ და სხვებმა. ცნობილმა მრეწველმა და ქველმოქმედმა დავით სარაჯიშვილმა, რომლის ღვაწლი კონიკასა და ლიქიორის წარმოების საქმეში (პირველად რუსეთის იმპერიაში) საყოველთაოდ აღიარებულია, დიდი ამაგი დასდო საზოგადოებას — დატოვა ანდერძი, რომ გაყიდულიყო მისი ექვსი მამული და აქედან შემოსული თანხის ნახევარი სტიპენდიების ფონდად გადადებულიყო, ნახევარი კი მუზეუმის აშენებას მოხმარებოდა. ნიკოლოზ ღოღობერიძემაც თავისი შემოსავალი დამუშავებული და საზღვარგარეთ გატანილი მანგანუმიდან წერა-კითხვის გამავრცელებელ და საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებებს უანდერძა. პავლე თუმანიშვილმა საზოგადოებას შესწირა ერთი დესეტინა მიწა ვაკეში სათავადაზნაურო გიმნაზიის მახლობლად, აკაკი ხოშტარიამ საზოგადოებას გადასცა საწევრო 6000 მანეთი და 2000 მანეთი შესწირა (იგი მზრუნველ წევრად აირჩიეს). სხვა შეძლებული ქართველებიც არ იშურებდნენ სახსრებს და საზოგადოების სასარგებლოდ საკმაო თანხა იყრიდა თავს...

1921 წლის 25 თებერვლიდან, საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ, ახალი ერა დაიწყო ქართველი ხალხის კულტურულ ცხოვრებაში. ფართო ასპარეზი გაიშალა კულტურისა და მეცნიერების განვითარებისათვის.

მეწმევიკურმა მთავრობამ გაქცევის წინ განკარგულება გასცა, მთელი სამუზეუმო ქონება თან წაეღოთ საფრანგეთში. სამუზეუმო ძვირფასეულობის მეთვალყურედ დამფუძნებელი კრების მიერ დაინიშნა ექვთიმე თაყაიშვილი. მძიმე იყო მეცნიერისათვის სამშობლოს დატოვება, მაგრამ საქართველოს ძვირფასეულობას მეთვალყურე სჭირდებოდა. მას კარგად ესმოდა, რომ, თუ არა დიდი ყურადღება, შეიძლებოდა ქართველი ერის სულიერი და მატერიალური კულტურის ძეგლები სამუდამოდ დაკარგულიყო საქართველოსათვის. 1921 წლის 11 მარტს ექვთიმე თაყაიშვილმა მეუღლესთან ნინო პოლტორაცკაიასთან ერთად დატოვა საქართველო და იძულებით კარგა ხანს მოუხდა ემიგრაციაში ყოფნა.

1922 წლიდან საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებას სათავეში ივანე ჯავახიშვილი ჩაუდგა. ამერიდან ახალი ძალით გაჩაღდა საზოგადოების საქმიანობა, გაიზარდა მისი ავტორიტეტი, დღითი დღე ახალი, მძლავრი მეცნიერული ძალები ემატებოდა.

განსაკუთრებით მკვეთრად გამოჩნდა საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების როლი მაშინ, როცა საქართველოს ზოგიერთ რაიონში მოსახლეობა ვერ გაერკვა ანტირელიგიური პროპაგანდის ღონისძიებათა არსში, რასაც მოჰყვა მატერიალური კულტურის ძეგლების ხელყოფა. იღუპებოდა ხელოვნების უძველესი ნიმუშები, რომლებიც ეკლესია-მონასტრებში ინახებოდა.

არაერთი შემაშფოთებელი ცნობა მიიღო საქართველოს მთავრობამ როგორც ცალკეული პირებისა, ისე ოფიციალური დაწესებულებებისაგან სხვადასხვა ისტორიულ ძეგლთა იავარყოფის შესახებ. მთავრობა დიდი გულისყურით მოეკიდა შექმნილ ვითარებას. **საქართველოს სახალხო კომისარიატ საბჭომ საგანგებო დადგენილება მიიღო საეკლესიო განძეულობის გამოყენების წესის შესახებ. განათლების სახალხო კომისარიატმა ისტორიული ძეგლების გადასარჩენად სასწრაფოდ შეადგინა ბრიგადები და მიავლინა სხვადასხვა რაიონში. ამ საქმეში ფართოდ ჩაებნენ საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების წევრები და დიდი სახარგებლო მუშაობაც ჩაატარეს.**

1924 წლის თებერვალში შეიქმნა არქეოლოგიის სექცია, რომლის მიზანი იყო უზედამხედველოდ დატოვებული აღუნუსხავი სიძველენი წესრიგში მოეყვანა. დისა ზემო ავჭალის ჰიდროელექტროსადგურისათვის არხის გაყვანისას აღმოჩენილი უძველესი საფლავის შესწავლის საკითხი. გათხრების მოწყობა მიეწდო გიორგი ჩუბინაშვილს, გიორგი ბოჭორიძესა და მალვა ამირანაშვილს. საარქეოლოგიო სექციის თვალსაწიერში მოექცა ჩვენში არსებული თითქმის ყველა მნიშვნელოვანი ძეგლი.

საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების შექმნის უმალ დაარსდა დამაცემათა ორი სერია: „ძველი საქართველო“ და „საქართველოს სიძველენი“. პირველ მათგანში იბეჭდებოდა რეფერატები, გამოკვლევები, სხვადასხვა ისტორიული, ლიტერატურული, არქეოლოგიური და ეთნოგრაფიული მასალები, მეორეში — სიგელ-გუჯრები, ისტორიული წერილები და სხვა ძეგლები. ძირითადი გამოცემების გარდა, საზოგადოებამ ცალკე წიგნებად გამოსცა 1909 წელს „პალეოგრაფიული ალბომის“ პირველი რვეული (ბაგრატ IV-ის გუჯარი, დავით IV-ის სიგელი), 1920 წელს მეორე რვეული, 1918 წელს „ხალხური სიტყვიერების“ მეორე წიგნი, 1916 წელს „ძველი ქართული მწერლობის“ პირველი ტომი, რომელშიც შევიდა „შაჰნამეს“ ანუ მეფეთა წიგნის ქართული ვერსიები. საზოგადოებამ გამოსცა აკაკი წერეთლის ცალკეული თხზულებანი. უსახსრობის გამო „ძველი საქართველოს“ გამოცემა ერთხანს შეჩერდა, მის ნაცვლად 1926 წელს გამოვიდა „მიმომხილველი“.

საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების ავტორიტეტი, მისი საქმიანობის მიზანსწრაფული მიმართულება თუ ღრმა ეროვნული და მეცნიერული შინაარსი დიდად განსაზღვრეს გამოჩენილმა ქართველმა საზოგადო მოღვაწეებმა, რომლებიც, საზოგადოების დაარსებიდან მოკიდებული, დღენიადაგ მრავალმხრივ მუშაობას ეწეოდნენ. საზოგადოებას ოთხი საპატიო წევრი ჰყავდა: აკაკი წერეთელი, ალექსანდრე ცაგარელი, კირიონ II და ნიკო მარი. სხვა გამოჩენილ მოღვაწეთა გვერდით თავდადებით იღვწოდა ვაჟა-ფშაველა. მას განსაკუთრებით ხალხური ადათ-ჩვეულების აღწერა და კვლევა იტაცებდა. იგი კრებდა და სწავლობდა ხალხურ პოეზიას. ამ აზრს შემთხვევითი, რომ ვაჟამ თავისი ნაშრომი „ფშაველი და მისი წუთისოფელი“ (ეთნოგრაფიული მოთხრობა) დაბეჭდა საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების კრებულში „ძველი საქართველო“.

საგაზეთო წერილში, ცხადია სრულყოფილად ვერ გაშუქდება აღებული პრობლემა. ერთი კი უთუოდ უნდა ითქვას: **განუზომელია საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების როლი თბილისის უნივერსიტეტის დაარსებაში.** ზედმეტია ლაპარაკი იმაზე, თუ რაოდენ დიდი ღვაწლი დასდეს პეტერბურგში მყოფმა ქართველმა მეცნიერებმა უნივერსიტეტის დაარსებას. სწორედ ივანე ჯავახიშვილი და მისი თანამოაზრე-თანამდგომნი არიან ამ საქმის პრაქტიკულად დამაგვირგვინებლები. აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ თბილისში მძლავრი საუნივერსიტეტო ბაზა უპირველესად სწორედ საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებამ მოამზადა; რომელიც „თავისი შინაარსითა და ოფიციალური აღიარებით ერთადერთი აკადემიური დაწესებულება იყო, ეს იყო მაშინ ჩვენში უნივერსიტეტიც, აკადემიაც და სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტიც“ (კ. კეკელიძე). აბალდაარსებული ქართული უნივერსიტეტის პირველ პროფესორთა შორის იყვნენ საზოგადოების წევრები: ეკვთიმე თაყაიშვილი, კორნელი კეკელიძე, იუსტინე აბულაძე და სხვები.

ჩვენი საუკუნის ოციანი წლების მეორე ნახევარი საბჭოთა საქართველოს ცხოვრებაში ახალი წარმატებების ხანაა. ახალი ამოცანები დაისახა მეცნიერების წინაშეც. ის ფუნქცია, რომელაც წლების მანძილზე „საზოგადოება“ ასრულებდა, სხვადასხვა დაწესებულებას გაუნაწილდა. ეს სრულიად ბუნებრივად მოხდა. თბილისის უნივერსიტეტის კათედრები და სხვადასხვა საზოგადოებანი (ენათმეცნიერთა, ეკონომისტთა და სხვა) თვითონ იკვლევენ ცალკეულ, მათთვის საინტერესო პრობლემებს. მართალია, კვლავ იმართებოდა საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების კრებები, რომლებზეც სხვადასხვა მოხსენებას ისმენენ და სხვა ხასიათის სამუშაოებიც მიმდინარეობდა, მაგრამ არა ძველებური ინტენსიურობით. იკლო თვით საზოგადოების წევრთა რიცხვმაც. საზოგადოების საქმიანობის 1932 წლის შემდგომი პერიოდის საბუთები არ არსებობს.

გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებამ თავისი არსებობის მთელ მანძილზე უდიდესი როლი შეასრულა ქართული მეცნიერებისა და კულტურის განვითარების საქმეში. განუზომელია საზოგადოების როლი ისტორიული ძეგლების დაცვაში. სწორედ მისი დიდი დამსახურებაა, რომ სხვადასხვა სახის ისტორიული ნივთი, ხუროთმოძღვრული ძეგლი გადაურჩა განადგურებას. საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებამ შემოიკრიბა იმდროინდელი მთელი მოწინავე სამეცნიერო და კულტურული ინტელიგენცია, რომელთათვისაც თვითონ მნიშვნელოვან ცენტრად იქცა. **თავისი მეცნიერული მოხსენებებით, საექსპედიციო საქმიანობით, მუზეუმისა და წიგნთსაცავის გამართვით, საგამომცემლო მოღვაწეობით საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფო საზოგადოებამ წარუშლელი კვალი დატოვა საქართველოს საზოგადოების ცხოვრების ისტორიაში.**

როინ მეტრეველი.

• • •

სურათებზე: ივანე ჯავახიშვილი; საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების გამოცემები; საზოგადოების პირველი თავმჯდომარე ეკვთიმე თაყაიშვილი.

ულტიმატუმი

ტელეტაიპი გადმოგვცემს
21 სექტემბერი ● ბაღდადი

მშვიდობის დოქტრინა

ექო

**მსოფლიოს მახობრივი ინფორმაციის საშუალებანი სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის მ. ს. გორბაჩოვის „ირავდაში“ გამოქვეყნებულ სტატიას „რეალობა და უსაფრთხო მსოფლიოს გარანტიები“ უწოდებენ უსაფრთხო მსოფლიოს დოქტრინას, ახალ სიტყვას, რომელიც შეიცავს ახალ რევოლუციურ აზრს, რევოლუციურ სულისკვეთებას. განმარტავენ რა საბჭოთა ხელმძღვანელის სტატიის ძირითად დებულებებს, გაზეთების მიმომხილ

ჩირაღდანი არ ჩაქრებაა!

სტუმართმოყვარულად უმასპინძლა ზესტაფონმა დიდი ოქტომბრის 70 წლისთავისადმი მიძღვნილ ამიერკავკასიის რესპუბლიკების სახალხო თეატრების პირველ ფესტივალს, რომელიც მოეწყო მოყვარულთა თეატრების საერთაშორისო გაერთიანების საბჭოთა კომიტეტის ეგიდით.

ზეიმის — „მეგობრობის ჩირაღდნის“ მიზანს შეადგენდა ეროვნული კულტურების ურთიერთგამდიდრება, მოყვარულთა თეატრების სასცენო ხელოვნების დემონსტრირება, შემოქმედებითი კონტაქტების ზრდა.

ფესტივალის ორგანიზებულად მოწყობის მიზნით დიდი მუშაობა გასწიეს საქართველოს პროფკავშირების რესპუბლიკურმა საბჭომ, საქართველოს სსრ კულტურის სამინისტრომ, ზესტაფონის პარტიულმა, საბჭოთა და სამეურნეო ორგანიზაციებმა, თითქმის ყველა მშრომელმა.

ფესტივალში მონაწილეობდნენ ამიერკავკასიის რესპუბლიკების მოყვარულთა დრამატული, თოჯინების და მარიონეტების თეატრები. იყვნენ სტუმრებიც: ჩეხოსლოვაკიის ქალაქ მარტინის კულტურის სახლთან არსებული და შვეიცის ქალაქ მალმეს მოყვარულთა თეატრალური კოლექტივები. ჩვენი რესპუბლიკა ფესტივალზე წარმოდგენილი იყო სიღნაღის კულტურის სახლთან არსებული სახალხო თეატრით.

თეატრალურ ფესტივალს დაემთხვა ქართული სიმღერის ტრადიციული დღესასწაული „სულიკო-87“, რომელიც ხალხის მუსიკალური შემოქმედების კიდევ ერთი საგულისხმო ფურცელი იყო.

სტუმართა შორის იყვნენ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი გ. ენუქიძე და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე ზ. ჩხეიძე.

ფესტივალის გახსნის საზეიმო კონცერტზე ერთმანეთს ენაცვლებოდნენ ამბროლაურის, ფოთის, ჩონატაურის, ჟობულეთის, მაიაკოვსკის, ყვარლის, ზუგდიდისა და ზესტაფონის რაიონების მხატვრული კოლექტივები.

შვეიცარიის ქალაქ მალმეს მოყვარულთა თეატრალური კოლექტივის ხელმძღვანელმა, რეჟისორმა **რონნ დანიელსენმა** კორესპონდენტთან საუბარში აღნიშნა: — **ფესტივალი ადამიანებთან შეხვედრის კარგი საშუალებაა. ასეთი გულითადი შეხვედრები ხელს გვიწყობს უკეთ გავუგოთ ერთმანეთს, განვამტკიცოთ მხატვრული კავშირ-ურთიერთობა. ქართული ხელოვნება ხალხურ ფესტივალზეა აღმოცენებული. ასე მგონია, მას ქმნის მთელი რესპუბლიკა, მთელი ხალხი. ეს ხელოვნება თავისთავადი და ორიგინალურია.**

ქალაქ მარტინის (ჩეხოსლოვაკია) კულტურის სახლის სამხატვრო ხელმძღვანელმა **სტანისლავ ხრენმა** თქვა: **კარგად არის შერჩეული საფესტივალო ადგილი. საერთოდ, ასეთი ღონისძიებები პატარა ქალაქებში უნდა იმართებოდეს. ასე ვიძენთ მეგობრებს, იქმნება ერთი საფესტივალო ოჯახი. დიდხანს გვეხსომება ზესტაფონში გატარებული დღეები და თეატრალური შეხვედრები.**

მოყვარულთა თეატრების საერთაშორისო ასოციაციის საბჭოთა კომიტეტის წევრმა, ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორმა **ვიდმანტას სილიუნასმა** აღნიშნა: **კარგი ინიციატივაა საქართველოს მიერ ამიერკავკასიის რეგიონალური ფესტივალის მოწყობა. ფესტივალი მეტყველებს მოყვარულთა თეატრების განვითარების მაღალ დონეზე. ადრე მოყვარულთა თეატრები მხოლოდ ადგილობრივ მაყურებელს ხვდებოდა, ახლა კი ამ თეატრების მხატვრული ენა ისე მომწიფდა და განვითარდა, რომ გასაგები გახდა სხვა ხალხებისთვისაც. ამას ადასტურებს ზესტაფონელთა გამოსვლები მექსიკასა და შვეიცარიაში.**

ამიერკავკასიის თეატრების ფესტივალის საკონკურსო კომისიელებმა, აგრეთვე ჩეხებისა და შვეიდების ხელოვნებამ დაგვანახვა მრავალფეროვანი, ერთმანეთისაგან სრულიად განსხვავებული ტრადიციები და იმის მოწმე გავხდით, თუ რა ინტერესით და შემოქმედებითად ხდება ხალხთა სულიერი და მხატვრული ღირებულებების გაცვლა, როგორ გვეხმარება სასცენო ხელოვნება, უკეთ გავუგოთ ერთმანეთს, უკეთ დავირაზმოთ საყოველთაო მშვიდობისათვის.

ზესტაფონის ცენტრალურ მოედანზე გამართულ ფესტივალის დასკვნითს საღამოზე ჟიურიმ გამოაცხადა გამარჯვებული კოლექტივები და მსახიობები.

პრიზი საუკეთესო რეჟისურისათვის მიიღო სიღნაღის სახალხო თეატრის რეჟისორმა **მურად ვაზაკიძემ. პრიზი ქალის როლის საუკეთესო შესრულებისათვის** წილად ხვდა ამავე თეატრის მსახიობს **მედეა სულხანიშვილს.**

მამაკაცის როლის საუკეთესო შესრულებისათვის პრიზი დაიმსახურა სომხეთის სსრ აჰურიანის რაიონის თეატრალური კოლექტივის წარმომადგენელმა **სანასარ მკრტჩიანმა.**

საუკეთესო სცენოგრაფიისათვის დაწესებული **პრიზი** მიიღო სომხეთის სსრ აჰურიანის სახალხო თეატრის წარმომადგენელმა **მარტინ პაპაიანმა.**

სპეციალის **საუკეთესო მუსიკალური გაფორმებისათვის** დაწესებული **პრიზები** წილად ხვდათ სიღნაღისა და ბაქოს მარდაკიანის თეატრალური კოლექტივების წარმომადგენლებს **გომარ სიხარულიძეს** და **ელდარ მირზოევს.**

ჟიურის სპეციალური **პრიზი — ხელოვნებაში ხალხურობისათვის** მიიღო **ბაქოელმა რახმან ალი-ზადემ.**

პრიზი ქალის ეპიზოდური როლის საუკეთესო შესრულებისათვის ერგო სიღნაღელ **სოფიკო ლეკიშვილს,** ხოლო **მამაკაცის ეპიზოდური როლის საუკეთესო შესრულებისათვის** — აჰურიანის სახალხო თეატრის მსახიობს **სამველ გალუსტიანს.**

საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს **სპეციალური პრიზებით** დაჯილდოვდნენ **ჩეხოსლოვაკიისა** და **შვეიცის** მოყვარულთა თეატრების კოლექტივები. **სპეციალური პრიზის „ხალხთა მეგობრობისათვის“** მფლობელი გახდა **ზესტაფონის სახალხო თეატრი. პრიზით** აღინიშნა ზესტაფონის მარიონეტების თეატრის მხატვრების — **დავით კამკამიძის,** ძმების **ზურაბ** და **ელგუჯა გუნიავების** და **ვალერიან ბარბაქაძის** მუშაობა.

ბ. შარიქაძე,
„კომუნისტის“ საკ. კორ.

სიღნაღის რაიონის ტიბაანის მეცხოველეობის სამეურნეობათაშორისო საწარმოსთან საჯარო ხელშეკრულება აქვს გაფორმებული ქიტესა დემეტრაშვილის ოჯახს, რომელიც 6 წევრისაგან შედგება. მოჯარენი 36 ჰექტარ ვენახს უვლიდნენ და ახლა თითოეულ ჰექტარზე 14-15 ტონა ყურძენს კრეფენ. რთველში ამ ოჯახს საწარმოს ყველა წევრი ეხმარება.

...დამხმარე და მხარში ამომდგომი ახლა ყველა მერთვლეს სჭირდება მოსავლის უდანაკარგოდ დასაბინავებლად. სწორედ ამ მიზნით გაემგზავრნენ კახეთის რაიონებში რესპუბლიკის უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტები, რომლებიც ოცი დღის განმავლობაში ყურძენს მოკრეფენ ყვარლის, წითელწყაროს, საგარეჯოს ზვრებში.

სურათზე: ქიტესა დემეტრაშვილის ოჯახი რთველში.

დ. იაკობაშვილის ფოტო.

თეატრი

გვჭირდება მხარდაჭერა

ფორეს შეხადეს პიესის მიხედვით შექმნილი სპექტაკლით — „ემიგრანტი ბრინბენიდან“ ახალი სეზონი გახსნა გორის გ. ერისთავის სახელობის სახელმწიფო თეატრმა. ჩვენი საკუთარი კორესპონდენტი გ. ვაშაკიძე შეხვდა თეატრის მთავარ რეჟისორსა და დირექტორს ი. მაცხონაშვილს და ინტერვიუ სთხოვა.

— თეატრის შემოქმედებითმა კოლექტივმა ჯერ კიდევ გასულ სეზონში დაიწყო მზადება დიდი ოქტომბრის 70 წლისთავისათვის, — თქვა მ. მაცხონაშვილმა, — დასაადგმელად შევარჩიეთ ბ. ლავრენიევის ცნობილი მოთხრობის მიხედვით შექმნილი პიესა „ორმოცდამეერთე“. გასულ სეზონში მაყურებელს ეუჩვენეთ შვიდ ახალი სპექტაკლი.

კარგი მთამბეჭდილებები დაგვიტოვა ამ ზაფხულს დმანისში ჩასახლებულ სტეჭიით დაზარალებულ სვანებთან სტუმრობამ. მათთვის წარმოვადგინეთ რ. ერისთავის „ჯერ დაიბოცნენ, მერე იქორწინეს“. ივლისში გასტროლები გვქონდა აგრეთვე თელავში.

გვფიქრობს ჩვენს თეატრში თამბამთა ცვლის პროცესი. ბევრი მსახიობი სხვადასხვა მიზეზით თეატრიდან წავიდა, შევსება კი არ ხანს. უკანასკნელი 12 წლის მანძილზე ჩვენს დასში თბილისის სახელმწიფო თეატრალური ინსტიტუტის მხოლოდ ერთი კურსდამთავრებული ჩაირიცხა.

კვლევინდებურად, ჩვენთან შეესვლას თვითმოქმედი კოლექტივებიდან ვიღებთ, რა თქმა უნდა, ეს თეატრის პროფესიულ დონეზე უარყოფითად მოქმედებს.

იმედითა და რწმენით შევაუღრებთ თბილისის სახელმწიფო თეატრალური ინსტიტუტის სამსახიობო ფაკულტეტის გორის მიზნობრივ ჯგუფს. ახალგაზრდები ინსტიტუტს დაამთავრებენ და ჩამოვლენ ჩვენთან, მთი მიღებისათვის, მატერიალური და ყოფიერი მხარდაჭერისათვის ამთავითვე ვემზადებით.

ზემოთ უკვე ვახსენეთ ბ. ლავრენიევის „ორმოცდამეერთე“. პრემიერა ამ თვის ბოლოს არის ნავარაუდევი. ოქტომბერში დიდი ალიას საიუბილეოდ წარმოვადგენთ მწერლის პიესას „მაჯანკელს“. ახალ თეატრალურ სეზონში ვფიქრობთ დავდგათ რობერტომას „რვა მოსიყვარულე ქალი“, გ. ერისთავის „გაყრა“. პერსპექტიულ რეპერტუარშია ადგილობრივი ავტორების ვ. დადიანიძის, ბ. ნოზაძის, შ. მახარობლიძის ნაწარმოებები.

ხალხური შემოქმედება

ანსამბლი ალორძინების გზაზე

ამ დღეებში თბილისის სახელმწიფო ფილარმონიის დიდ დარბაზში ახალი საკონცერტო სეზონი გაიხსნა საქართველოს სსრ სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო დამსახურებული ანსამბლის კონცერტით. მან პირველად წარმოადგინა თავისი პროგრამა სრული სახით.

უპირველესი ანსამბლის ყოველი კონცერტი ზეიმი უნდა იყოს, ამავე დროს ბევრი რამ შეგვახსენოს და ღრმად დაგვაფიქროს კიდეც, რადგან ყოველი ჩვენგანისთვის ასეთი კონცერტი წმინდა ეროვნული სიმამაცე და ჩვენივე სულიერი განცდების გაცოცხლებაა. მსმენელი ამ თითქოს თვალნათლივ ჭვრეტს წარსულს, და თუ ამ დროს არ დაგიფიქრა წინაპართა მუსიკალურმა და პლასტიკურმა აზროვნებამ, ისე კონცერტი ზეიმად ვერ გადაიქცევა.

ისევ მაყურებლის შეფასებიდან: „ასეთი კონცერტები ხშირად უნდა იმართებოდეს, თორემ კიდევ ხუთი წელი თუ გავიდა“...

სრული ჭეშმარიტებაა! კონცერტები ხშირ-ხშირად უნდა იმართებოდეს და თანაც ყველამ უნდა ნახოს. ანსამბლმა მთელ საქართველოში, სცენიდან სცენაზე უნდა იმოგზაუროს, ამის თქმის საბაბს გვაძლევს მაღალპროფესიულ დონეზე დადგული ცეკვები (ქორეოგრაფი — ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე რევაზ ჯოხონელიძე). იგი გვხიბლავს საინტერესო მიგნებებით, მოულოდნელი, ეფექტიანი კომპოზიციებითა თუ ილეთებით. თითქმის ყველა ცეკვა ტრადიციული ვარიანტით იყო წარმოდგენილი, თუმცა ბევრი სიახლეც ჩანდა „ხორუმში“, „ქალთა ცეკვაში“, „ხანჯლურში“, თუ „მხედრულში“, რომელი ერთი ჩამოვთვალოთ, თითქმის ყველა ცეკვა საინტერესო და საამო საცქერი იყო. და მაინც მინდა გამოვყო „სამაიას“ მოძრაობათა შეუდარებელი სინქრონიზმი და მოცეკვავეების სინარნარე. მაყურებელი კოსტიუმებმაც მოხიბლა, მაგრამ ზოგი შეკამათდა მედგლურეთა ჩაცმულობის თობაზე, რაშიც ვერ დაეთანხმები კეთილ მაყურებლებს. ვფიქრობ, ასეთი გადაწყვეტა თეთ ცეკვის შინაარსს ამართლებს. „ხორუმის“, „განდაგანის“, ხასანბეგურას ტრიოს, „სამაიას“, „სიმდილის“, „ხანჯლურისა“ თუ გუნდის კოსტიუმები ფერთა სოიკარი შეხამებით იქცევს ყურადღებას, რაც სსრ კავშირის სახალხო მხატვრის მერაბ ბერძენიშვილის დამსახურებაა.

ამ კონცერტზე ანსამბლი ვრცელი პროგრამით წარსდგა თბილისელთა წინაშე და სიმღერების უმრავლესობა მართლაც ისე კარგად შესრულდა, რომ ხარვეზების აღნიშვნა არც კი ღირს. „მრავალჟამიერი“, „ოდოია“, „ნადური“, „ხასანბეგურა“, „ჩაკრული“, „შემოძახილი“, გურული სახუმარო, „ლაღვაშ“, რაჭული „ალილო“, ნადური „შემოქმედური“, შესანიშნავად შესრულებული ორი ურთუღესი საგალობელი — ერთი ქართულ-კახური, მეორეც გურულიმერული კილოსი.... მარტო ჩამოთვლაც კმარა ანსამბლის შესაძლებლობებისა და თავდადებული შრომის წარმოსაჩენად.

ის, რომ სვანურ სიმღერებში და საერთოდ, ორპირულ სიმღერებში ბანის ნაკლებობაა, ის, რომ „შემოქმედურაში“ ერთი კრიმანჭული, სხვა თუ არაფერი, ცოდვაა, ტექნიკური სიძნელეებია და თუკი მომავალში ამ მხრივ ანსამბლს დავეხმარებით, ეს მცირე ხარვეზებიც გამოსწორდება.

ანსამბლის ვეტერან მომღერლებს კარგად აუბეს მხარი „ახალგაზრდულებმა“. ილია ზაქაიძესთან, ჯემალ ცხვედიანთან, ნიკოლოზ ჩიქოვანთან, ჯემალ მუსერიძესთან და სხვებთან ერთად ანსამბლის წარმატებაში უდაოდ წვლილი შეიტანეს ნუგზარ კურცალიამ, ლევან სამყურაშვილმა, ნუგზარ დოლიძემ და სხვებმა.

ანსამბლის ხელმძღვანელთან ჯ. ჭკუასელთან ერთად ამ მომღერლების შემოქმედებითმა შესაძლებლობებმა განაპირობეს საგალობლების, „შემოძახილის“, „ალილოს“, „შემოქმედურასა“ და „ოდოიას“ განსაკუთრებული წარმატება.

ცალკე უნდა ითქვას, ეგრეთ წოდებული გაერთიანებულ ნომრებზე, ანუ ცეკვისა და სიმღერის სინთეზზე. ანსამბლის ხელმძღვანელთა დიდ მუშაობაზე და სწორ გეზზე ისიც მეტყველებს, რომ ასეთი ნომრები უხვად იყო, მათგან გამოვყოფდით „ფარცას“, რომელშიც ცეკვის წარმმართველი სწორედ საფერხულო სიმღერა იყო და არა გარმონი.

აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ თვით მხატვრული ხელმძღვანელი სცენაზე იშვიათად გამოდის და კონცერტის დინამიკას ხელს არ უშლის.

ალბათ, აქვე ღირს იმის გახსენება, რომ ანსამბლის ახალი შემოქმედებითი სახე ჯერ გამოკვეთილი არც იყო, რომ ზოგიერთები რატომღაც ხელაღებით, აკრძალული „ილეთებით“ შეეცადნენ მის გაწურვამ არაჯანსაღი, უარყოფითი განწყობილების შექმნას, რაც, საბედნიეროდ, ამ ნიჭიერმა კოლექტივმა თავისი კონცერტებით უკვე საბოლოოდ გააქარწყლა.

დარბაზში შექმნილი განწყობილების კიდევ ერთი დეტალი მინდა აღვნიშნო: მაყურებელთა უმრავლესობა ერომანეთს ულოცავდა ამ მშვენიერ საღამოს და აღნიშნავდა, რომ ქართული ანსამბლი ჭეშმარიტი აღორძინების გზაზეა.

შეუძლებელია ეს სიხარული არ გავიზიაროთ...

თ. იოსელიანი.

სპორტი

გამარჯვება — ერთადერთი ამოცანა

უმაღლესი ლიგის გუნდების საკავშირო ჩემპიონატის ოცდამეხუთე ტურის მატჩებიდან განსაკუთრებულ ყურადღებას, ცხადია, უწევნარესად ჩვენი რესპუბლიკის კოლექტივების მონაწილეობით გამართული შეხვედრები იწვევდა. ამ გუნდების სტუმრნირო მდგომარეობამ, მეტი რომ არა ვთქვათ, ფეხბურთის ქომაგებში დიდი შეშფოთება უკვე ჩემპიონატის პირველი მატჩებიდანვე გამოიწვია. და მაინც, ლანჩხუთის „გურია“ — უმაღლესი ლიგის დებიუტანტი, მისი მეტად რთული სატურნირო მდგომარეობის გამო, წუხილთან ერთად გარკვეულ სიმპათიებსაც იმსახურებს. მეიძლება ეს ერთი შეხედვით უცნაურადაც მოგვეჩვენოს, მაგრამ საქმე ის არის, რომ საფეხბურთო სეზონის გამავლობაში „გურია“ საკუთარ მოედანზე თუ სტუმრად ძალების მთელი დაძაბვით იბრძვის, ცდილობს რაც შეიძლება სრულად გამოავლინოს არც თუ მდიდარი პოტენციური შესაძლებლობები, თამაშის საკუთარი ხელწერის დაუცხრომლად ძიებაშია და ერთთავად ცდილობს უმაღლეს ლიგაში დაიმკვიდროს ადგილი. „გურიამ“ რომ ეს ამოცანა ვერ გადაწყვიტოს, ენა არავის მოუბრუნდება თქვას, ლანჩხუთელი ფეხბურთელები მოედანზე მხოლოდ მოვალეობის მოსახდელად გამოდიოდნენო. ასეა თუ ისე, ლანჩხუთის „გურია“ მატჩიდან მატჩამდე უფრო და უფრო ორგანიზებულად თამაშობს და ნებისმიერი ძალის კოლექტივთან თითქმის ერთნაირი შემართებით იბრძვის. ამ მხრივ ლანჩხუთის სტადიონზე გამართული გუშინწინდელი მატჩი ერევნის „არარატთან“ მასპინძელთათვის მარილაც საუკეთესო იყო. არ შევცდებით, თუ ვიტყვით, რომ ამ შეხვედრაში ლანჩხუთელებმა გამოცდილ და საკმაოდ ძლიერ ერევნელ მეტოქეებს არაფერში დაუდეს ტოლი და მეტად საშური გამარჯვება მოიპოვეს — 2:0. ვინც მატჩს დაესწრო, ანდა ტელევიზიით იხილა, შევახსენებთ, რომ ბურთები მეორე ტაიმში გაიტანეს ენუქი თევზაძემ და მურმან აკოფიანმა. ერთიც და მეორე გოლიც ოსტატურად იქნა გატანილი და, რაც მთავარია, ეს მთელი კოლექტივის შეუპოვარი და ლაღი მოქმედების ლოგიკური შედეგი იყო. საყურადღებო ფაქტია ისიც, რომ ბოლო სამ საჩემპიონატო შეხვედრაში „გურიამ“ 6 შესაძლებლიდან 5 ქულა აართვეს მეტოქეებს, თუ ასე გაგრძელდა, ვნახოთ...

ახლა კი ვისაუბროთ თბილისში გუშინ გამართული მატჩის თაობაზე. აშკარად თბილისელ დინამოელთა მეტოქე იყო ბაქოს „ნეფთჩი“. ლანჩხუთელთა მსგავსად ეს მატჩი თბილისელებმაც ანგარიშით 2:0 მოიგეს. მხოლოდ ეს არის, დინამოელებმა ბურთები პირველ ტაიმში გაიტანეს: ჯერ გია გურულმა, შემდეგ კი ალექსანდრე ჩივაძემ. თბილისელთათვის რომ ყოველი მატჩი გადამწყვეტი მნიშვნელობისაა, ამას ფიცი-მტკიცი არ სჭირდება. მათ მორიგი ეტაპი რომ მშვიდობით განვლეს, დამაიმედებელი ნიშანია. საერთოდ კი ამ შეხვედრაში წარმატება, უპირატესად ერთმა მეტად მნიშვნელოვანმა ფაქტორმა განაპირობა: თამაშში სწრაფმა მოქმედებამ! როცა ჩვენი ფეხბურთელები სწრაფად მანევრირებდნენ, სწორედ მაშინ მიაღწიეს მიზანს. ასეთი მომენტი ორი იყო და რამდენიმეც სახიფათო ეპიზოდი მეტოქეთა კართან. მატჩის გაცილებით მეტ დროში კი დინამოელები შედარებით ნელ ტემპში თამაშობდნენ. იქნებ მათს მოქმედებაში შესამჩნევი სიმდორე გათამაშების ცხრილში შექმნილმა ვითარებამ განაპირობა და ზედმეტ რისკს თავი აარიდეს. აშკარად ასეთმა ტაქტიკამ ნებისთვ უნებლიედ გაამართლა. ამას ხელი შეუწყო იმანაც, რომ ბაქოელებმაც „უგულებელყვეს აქტიური თამაში და ადრევე შეურიგდნენ მარცხს. ჯრად არც ისინი არიან კარგ დღეში, ისინიც ხომ აუტსაიდერთა ჯგუფში ბინადრობენ. თუმცა, ჩვენ დინამოელთა სახით ჩვენი საჭირისუფლო გვყავს და ცხადია, ბოლომდე მათი თანამდგომები უნდა ვიყოთ. კიდევ და კიდევ გამარჯვება! აი, ის ერთადერთი ამოცანა, რომელიც მათს წინაშე დგას.

გთავაზობთ ოცდამეხუთე ტურის დანარჩენ შეხვედრათა შედეგებსაც: კიევის „დინამო“-„სპარტაკი“ — 0:1, „დნეპრი“-მოსკოვის „დინამო“ — 1:1, „ტორპედო“-„მეტალისტი“ — 1:0, „ზენიტი“-მინსკის „დინამო“ — 1:0, „ყაირათი“-„ქალგირისი“ — 2:2, „შახტიორი“-ცსკა — 1:1.

დღეისათვის გათამაშების ცხრილში გუნდები ასეთი თანამიმდევრობით არიან განლაგებული:

	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„სპარტაკი“	18	10	2	41-22	36
„დნეპრი“	14	6	5	36-16	34
„ტორპედო“	10	10	5	26-19	30
„ქალგირისი“	11	7	7	33-26	29
„შახტიორი“	10	8	8	25-24	26
„არარატი“	12	1	12	28-39	25
„დინამო“ მნ	9	7	9	27-23	25
„დინამო“ კ	8	8	8	27-19	24
„დინამო“ მ	7	11	7	24-23	24
„ყაირათი“	8	6	11	22-29	22
„მეტალისტი“	8	6	11	18-25	22
„ნეფთჩი“	7	8	10	27-26	22
ცსკა	6	8	10	21-28	20
„ზენიტი“	6	8	11	20-32	20
„დინამო“ თბ	7	5	12	21-31	19
„გურია“	5	7	12	16-28	17

როგორც ხედავთ, ჩვენი რესპუბლიკის გუნდები გათამაშების ცხრილში კვლავ ბოლო ადგილებზე არიან. თბილისის „დინამოს“ და ლანჩხუთის „გურიას“ ჩემპიონატის კიდევ 6-6 მატჩი დარჩათ გასამართავი. თბილისში ერთმანეთთან — 4 ოქტომბერს. გარდა ამისა, „დინამო“ 16 ოქტომბერს მიიღებს „ტორპედოს“, 31 ოქტომბერს — „მეტალისტს“, 8 ნოემბერს სტუმრად ითამაშებს კიევის „დინამოსთან“, 12 ნოემბერს კი კიეველებს განმეორებით მატჩში უმასპინძლებს, ხოლო 15 ნოემბერს მოსკოვში შეხვდება „სპარტაკს“; ლანჩხუთის „გურია“ 29 სექტემბერს უმასპინძლებს ცსკას, 16 ოქტომბერს — „მეტალისტს“, 31 ოქტომბერს — „ტორპედოს“, ხოლო 10 და 16 ნოემბერს სტუმრად იასპარეზებს შესაბამისად „სპარტაკთან“ და კიევის „დინამოსთან“. უტყუარია, სწორედ ამ დარჩენილ მატჩებში გვმართებს თავდადებაც, სილაღეც და შემართებაც. „დინამოს“ ძველი დიდება ახლა ვერაფერს უშველის, „გურია“ უმაღლესი ლიგის ახალბედაა და ბევრს არას ვერჩით. ერთი სიტყვით, ჩვენმა ფეხბურთელებმა თავად უნდა შვან მყოფადი და იქნებ ქართული ფეხბურთის უკეთესი მომავლის იმედიც ჩაგვიხერგონ.

ჯ. ენუქიძე.

ვ. ი. რობაქიძე

გარდაიცვალა 1939 წლიდან სკკპ წევრი, სოციალისტური შრომის გმირი, რესპუბლიკის კავშირგაბმულობის დამსახურებული მუშაკი, საკავშირო მნიშვნელობის პერსონალური პენსიონერი, შრომისა და ომის ვეტერანი ვენედიქტე იპოლიტეს ძე **რობაქიძე.**

ვ. ი. რობაქიძე დაიბადა 1909 წელს თერჯოლის რაიონში. 1929 წლიდან მუშაობდა საქართველოს სსრ კავშირგაბმულობის სამინისტროს ქუთაისის მაგისტრალურ კავშირგაბმულობის ტექნიკურ კვანძის მონტიორად. მთელი თავისი შრომითი საქმიანობის მანძილზე იგი პასუხისმგებლობით ასრულებდა დაკისრებულ მოვალეობას, როგორც დარგის საუკეთესო სპეციალისტი გამოირჩეოდა პროფესიისადმი ერთგულებით, კარგი პრაქტიკული ცოდნითა და თანამოსაქმეებთან გულისხმიერი დამოკიდებულებით. დამსახურებულ ავტორიტეტი ჰქონდა რესპუბლიკის კავშირგაბმულობის სისტემის მუშაკთა შორის. ვ. ი. რობაქიძე ჯილდოებული იყო ორი ლენინის ორდენით, ოქტომბრის რევოლუციის ორდენით და მრავალი მედლით.

ვ. ი. რობაქიძის ხსოვნა სამუდამოდ დარჩება თანამოსაქმეთა და მეგობართა გულში.

საქართველოს სსრ კავშირგაბმულობის სამინისტრო; კავშირგაბმულობის მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტი.

რედაქტორი
ნ. ფოფხაძე

ტურნირი ■ მატჩი ■ შედეგი

მხატვრული ტანვარჯიში. ბულგარეთის ქალაქ ვარნაში დამთავრებულ მსოფლიო ჩემპიონატზე მრავალჯიდელთა შორის წარმატებით იასპარეზეს მასპინძლებმა: აბსოლუტური ჩემპიონი გახდა ბიანკა პანოვა — 40 ქულა. ვერცხლის მედლები წილად ხვდათ ელიზაბეტ კოლევას და ადრიანა დუნავსკას — 39,8-39,8 ქულა. მომდევნო ადგილებზე გამოვიდნენ საბჭოთა სპორტსმენები ანა კოჩნევა, მარინე ლობაჩი (39,65-39,65 ქულა) და ტატიანა დრუჩინინა (39,55). ცალკეულ ვარჯიშებში საბჭოთა სპორტსმენებმა 3 ოქროს მედალი მოიპოვეს: კოჩნევამ გურზებით, დრუჩინინამ — ლენტით, ხოლო ლობაჩმა — რგოლით ვარჯიშში. სამივემ პირველი ადგილები გაიყვეს პანოვასთან ერთად. ეს უკანასკნელი დუნავსკას ერთად აგრეთვე პირველი იყო სატუნელათი ვარჯიშში. ცალკეულ სახეობებში გამარჯვებულებმა აბსოლუტური შედეგი აჩვენეს — 20-20 ქულა.

რეგბი. უმაღლესი ლიგის გუნდების საკავშირო ჩემპიონატის ფინალური ჯგუფში მოსპარეზე კოლექტივების მორიგი კალენდარული მატჩები ასე დამთავრდა: ალმა-ათის ასკ-ქუთაისის „შეზნელი“ — 15:11, კრასნოიარსკის „ენერგეტიკოსი“-კიევი 6:0, „ავიატორი“ — 36:8, მოსკოვის „სლავა“-სამხედრო-საპაერო აკადემიის გუნდი — 0:0. „შეზნელი“ 67 ქულით ერთპიროვნული ლიდერია. აკადემიის გუნდს 66 ქულა აქვს, „სლავას“ — 63.

ჩოგბურთი. გფრ-ის ქალაქ ფრაიბურგში დამთავრდა მსოფლიო ჩემპიონატი 16 წლამდე ასაკის გოგონათა გუნდებს შორის. საბჭოთა ნაკრებმა ფიფალური შეხვედრა წაგო ავსტრალიის ეროვნულ გუნდთან ანგარიშით 1:2 და მეორე საპრიზო ადგილი დაიკავა.

ველოსიპორტი. სეულში გამართულ საერთაშორისო შეჯიბრებაზე ლენინგრადელმა ვიაჩესლავ ეკიმოვმა პირველი ადგილი მოიპოვა 4 კილომეტრზე გაძოდევნებით რბოლაში — 4.32,20. მეორე ადგილი წილად ხვდა ინგლისელ კოლინ სტრაჯეს — 4.40,31, მესამე — კლაიპედელ არტურას კასპუტისს.

კალათბურთი. მილანში დამთავრდა საკონტინენტთაშორისო თასის გათამაშება. ფინალური მატჩი მილანის „ტრეისერსა“ და ესპანეთის „ბარსელონას“ შორის მოიგეს მილანელებმა ანგარიშით 100:84 (49:39) და თასის მფლობელები გახდნენ. ამ შეჯიბრებაში მონაწილე კაუნასის „ჟალგირისი“ მეშვიდე ადგილისათვის მატჩში დამარცხდა ვაშინგტონის უნივერსიტეტის გუნდთან — 122:126 (67:76) და ბოლო, ჟერვე ადგილზე გამოვიდა.

საწარმოების, დაწესებულებების, ორგანიზაციების ხელმძღვანელთა და საცხოვრებელი სახლების მფლობელთა საყურადღებოდ!

ახლოვდება ზამთრის გათბობის სეზონი — ხანძრის მხრივ წელიწადის ყველაზე საშიში პერიოდი.

როგორც სტატისტიკა გვიჩვენებს, ამ დროს ხანძრები მეტწილად გაუმართავი გამთბობი ხელსაწყოების გამოყენებისა და მათი საექსპლოატაციო რეჟიმის დარღვევის, ჭვარტლისაგან გაუწმენდავი საკვამლე მილების, ელექტროსამთბობი ხელსაწყოებისა და გაუმართავი ელექტროგაყვანილობის ექსპლოატაციის შედეგია.

ხანძრებთან დაკავშირებული უბედური შემთხვევების თავიდან აცილების მიზნით, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სახანძრო დაცვის სამმართველო და საქართველოს მეხანძრეთა ნებაყოფლობითი საზოგადოება წინადადებას აძლევენ საწარმოების, დაწესებულებების, ორგანიზაციების ხელმძღვანელებს, საბინაო მეურნეობის მუშაკებსა და საცხოვრებელი სახლების მფლობელებს, რომ დროულად განახორციელონ ყველა საჭირო სანძარსაწინააღმდეგო ღონისძიება სახალხო მეურნეობის ობიექტებისა და საცხოვრებელი სახლების ზამთრის გათბობის სეზონისათვის მოსამზადებლად.

გახსოვდეთ! თქვენზეა დამოკიდებული სახალხო მეურნეობის ობიექტებისა და საცხოვრებელი სახლების სახანძრო უსაფრთხოების უზრუნველყოფა.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სახანძრო დაცვის სამმართველო; საქართველოს მეხანძრეთა ნებაყოფლობითი საზოგადოება.

„შაბათს, 16 ნოემბერს, ერთი ფრიად სახიამოვნო და ახალი ამბავი მოხდა. ქართულ თეატრში გამართული იყო ქართული კონცერტი. ქართულმა ხორომ იგალობა ჩვენი საერო სიმღერები. ხალხი საკმაოდ ბლომად დაესწრო და სიამოვნებით კი არა, აღტაცებით დახვდა და მიეგება ამ ახალს და სასიამოვნო ამბავს...

..ძახილს და ტაშისცემას ბოლო არ ჰქონდა. სასურველია, რომ ამ დიდად სასიამოვნო საქმემ ხშირად გვახიამოვნოს ხოლმე ისე, როგორც შაბათს საღამოს გვახიამოვნა“...

ეს სიტყვები 100 წლის წინათ — 1886 წელს დაბეჭდა „ივერიაში“ ილია ჭავჭავაძემ. კონცერტი კი, რომელზეც ასეთი სიყვარულით ესაუბრება „ივერიის“ მკითხველებს ილია, 1886 წლის 15 ნოემბერს გამართა პირველმა ქართულმა ქორომ — ლადო აღნიაშვილის პირშმამ.

წარსული იმიტომ გავიხსენეთ, რომ საქართველოს ხალხური სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო დამსახურებული ანსამბლი ქართული ქოროს პირდაპირი მემკვიდრეა და გასაგებია ის დიდი ინტერესი, რომელიც გამოიწვია ამ ანსამბლის კონცერტმა, ფილარმონიის დიდ საკონცერტო დარბაზში ორმა გამართა ამ დღეებში. ისევ წარსულს თუ გადავხედავთ, ქართული ქოროს პირველ კონცერტზე, სულ 11 ქართული ხალხური სიმღერა შესრულდა. მათ შორის „ქართველო ხელი ხმალს იკარ“, „ბურული ოდელია“, „ეუჩხი ბედიენერი“, „ნუმლი მუხასა“...

სწ